პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 02 01 03 02 02
----------------------------------	----------------------

ქვეპროგრამის დასახელება:

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	3 460 529
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	3 460 529

ქვეპროგრამის მიზანი:

სარეკრეაციო და ღია სივრცეების მოწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქალაქის გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს გამწვანება. პარკებისა და სკვერების მწვანე ნარგავები შთანთქმავს მტვერსა და ტოქსიკურ გაზებს. ისინი მონაწილეობენ ნიადაგის ჰუმუსის წარმოქმნაში, უზრუნველყოფენ მის ნაყოფიერებას. ატმოსფერული ჰაერის აირის შემადგენლობის ფორმირება პირდაპირ დამოკიდებულა ნარგავებთან: ისინი ამდიდრებენ ჰაერს ჟანგბადით, ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფიტონციდებით და მსუბუქი იონებით, შთანთქმებენ ნახშირორჟანგს. მწვანე ნარგავები არბილებენ კლიმატს. ისინი ითვისებენ მზის ენერჯიას და ნიადაგისა და წყლის მინერალური ნივთიერებებიდან ფოტოსინთეზის პროცესში ქმნიან ნახშირწყლებს და სხვა ორგანულ ნივთიერებებს. ნარგავები ასრულებენ თავის არა მხოლოდ ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ ფუნქციებს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქვემოთ მოცემული აქტივობები:

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ს. ზუბალაშვილის, ლ. ასათიანის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა	კვ.მ	4380	232	1 016 075
ანზანის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები	კვ.მ	15712	127	1 999 987

ქობულეთისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთაში არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟისა და მის ნაცვლად სკვერის მოწყობა	კვ.მ	550	143	78 689
მრავალსართულიანი სახლების მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა	ცალი	1	17 800	17 800
რუსთაველის გამზირი #1-ში მდებარე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარედ არსებული შადრევნის რეაბილიტაცია	ცალი	1	102 618	102 618
ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა				109 560
ცენტრალური პარკის დაცვა				122 400
წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა				13 400
ქ. ბათუმში შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკანა ტერიტორიაზე მოედნისა და მოედანთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობის სამუშაოები				13 400
სულ ქვეპროგრამა				3 460 529

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ს. ზუბალაშვილის, ლ. ასათიანის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა	X	X	X	X
ანზანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები		X	X	X
ქობულეთისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთაში არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟისა და მის ნაცვლად სკვერის მოწყობა	X	X		
მრავალსართულიანი სახლების მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა	X	X	X	X
რუსთაველის გამზირი #1-ში მდებარე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარედ არსებული შადრევნის რეაბილიტაცია	X	X	X	X
ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა	X	X	X	X
ცენტრალური პარკის დაცვა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები

დამატებითი ინფორმაცია

ს. ზუბალაშვილის, ლ. ასათიანის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა მრავალწლიანი პროექტია (2018-2019 წ. წ.), რომლის ღირებულება შეადგენს 1 100 362,25 ლარს

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ღონისძიების დასახლება	ბიუჯეტი
ს. ზუბალაშვილის, ლ. ასათიანის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა	1 016 075
ანბანის კომპის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1 999 987
ქობულეთისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთაში არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟისა და მის ნაცვლად სკვერის მოწყობა	78 689
მრავალსართულიანი სახლების მიმდებარედ ფანჯატურის მოწყობა	17 800
რუსთაველის გამზირი #1-ში მდებარე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარედ არსებული შადრევნის რეაბილიტაცია	102 618
ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა	109 560
ცენტრალური პარკის დაცვა	122 400

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები	ახალი მოწყობილი სკვერების ფართობი	4930	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი
	რეაბილიტირებული მოედნის ფართობი	15712	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი
	პარკებისა და სკვერების რაოდენობა, სადაც ხორციელდება მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	27	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 02 03
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	3 040 400
სხვა წყარო	10 000
სულ ქვეპროგრამა	3 050 400

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალაქის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები მწვანე საფარის გაცეკვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მორწყვა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შემენა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით; სასათბურე მეურნეობის აღდგენა-რეაბილიტაცია.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქალაქის გამწვანების მართვა ადმინისტრირება				1 534 090
შრომის ანაზღაურება	პირი	43	15 547	668 500
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	სეზონურად, 30-დან 131-მდე		865 590
ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები				470 210
მივლინებები				14 000

უნიფორმა (კომპლექტი)		280	148	41 500
ელექტრონული პროგრამების შეძენა		1	2 000	2 000
ბენზოცელისა და ბენზოხერხის რემონტი				45 000
საცელავი აპარატი		10	2 000	20 000
ექსპერტიზის შემოწმების ხარჯი (მანქანები, საწვავის, შენობა-ნაგებობის)				2 000
ტორფი (კუბ.მ)	(კუბ.მ)	65	215	14 000
სასუქი (გრანულოვანი, კრისტალონი)				4 000
შხამ-ქიმიკატები				19 000
სამეურნეო საქონელი (შრომის იარაღები, ჭიგოები, თოკები და ნაჭრები, სანტექნიკური საქონელი და სხვა)				13 000
ტრანსპორტის მოვლა-ექსპლუატაციის ხარჯები				234 000
საქონელი და მომსახურება სხვა დანარჩენი ხარჯები				61 710
ხე მცენარეების შეძენა	ერთეული	4 000	141	563 200
სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია				435 100
შრომის ანაზღაურება	პირი	11	12 255	134 800
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (დღე)	პირი	16	6 625	106 000
ტორფი (კუბ.მ)	(კუბ.მ)	46	217	10 000
სასუქები				1 500
შხამ-ქიმიკატები				8 000
ყვავილის თესლი		1 300 000	0,08	100 000
პლასტმასის ყუთები (კასეტები, გადასაზიდი ყუთები)				20 000
კომუნალური ხარჯები				54 800
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება				47 800
კომპიუტერი, ნოუტბუკი	ერთეული	4	1 325	5 300
ფოტოაპარატი	ერთეული	1	2 500	2 500
მცირე ტვირთამწეობის ძარიანი ავტომობილი	ერთეული	1	40 000	40 000

სულ ქვეპროგრამა			3 050 400
-----------------	--	--	-----------

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქალაქის გამწვანების მართვა ადმინისტრირება	X	X	X	X
ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები	X	X	X	X
ხე მცენარეების შეძენა	X	X	X	X
სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია	X	X	X	X
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა

დამატებითი ინფორმაცია

ქალაქის გამწვანების მიმდინარე სამუშაოები მოიცავს:		
ხე-მცენარეების დარგვა	4 000	ძირი
ერთწლიანი ჰორიზონტალური ყვავილების დარგვა და გამოხილვა თვეში ორჯერ 208 საყვავილე კლუმბაში	5 340	კვ.მ
მწვანე საფარის გაცელვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, მათ შორის:		
თვეში ერთჯერ გაცელვ	237 835	კვ.მ
თვეში ორჯერ გაცელვა	127 920	კვ.მ
თვეში ოთხჯერ გაცელვა	116 025	კვ.მ
ხე-მცენარეების დეკორატიული გასხვალა-გაფორმება და ნარჩენების გატანა	28 300	ძირი
ხე-მცენარეების გადაბეღვა და ნარჩენების გატანა	200	ძირი
გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა	150	ძირი
გადაზრდილი და გადამხმარი ტოტების შეჭრა და ნარჩენების გატანა	4 500	ძირი
პალმებზე ტოტების შეჭრა და გატანა	2 000	ძირი
ხე-მცენარეების შეხვევა-გახსნა სეზონურად	25 000	ძირი
სასუქის შეტანა	47 148	კვ.მ
მწვანე ნარგავების მორწყვა	12 942	კვ.მ
ნიადაგის დამუშავება კულტივატორით	5 340	კვ.მ
ფილებს შორის ამოსული სარეველების ამოძირკვა	13 700	კვ.მ

ხე-მცენარეების შეთეთრება ჩაუმქრალი კირით	7 000	ძირი
ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათონა-გამარგვლა	32 313	კვ.მ
ხე-მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით	20 000	ძირი
ერთწლიანი ჰორიზონალურად მოყვავილე ყვავილების შეწამლვა შხამქიმიკატებით	5 340	კვ.მ
ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება	380 000	კვ.მ
სასათბურე-სანერგე მეურნეობაში დაგეგმილია წლის განმავლობაში 1500 ძირი ნერგის და 1.300.000 ერთწლიანი სეზონული ყვავილის გამოყვანა		

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა	ქალაქის ფართობი, რომელზეც ხორციელდება გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები	370600	კვ.მ	ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური	მონიტორინგი
	ქალაქის ფართობი, რომელზეც ხორციელდება ყვავილების დარგვა	3955	კვ.მ	ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური	მონიტორინგი
	დამატებით დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა	4000	ცალი	ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

03 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	0
სხვა წყარო	5 244 600
სულ ქვეპროგრამა	5 244 600

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმის ბოტანიკური ბაღის, როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ბუნების ცოცხალი ძეგლის განვითარება, მცენარეთა კოლექციის მოვლა, განახლება და დაცვა-კონსერვაცია. ბოტანიკურ ბაღში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქვეპროგრამის დასახულება და აღწერა:

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუნიციპალური ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ბაღში მცენარეთა კოლექციის მოვლა-პატრონობის, შევსების, განახლებისა და კონსერვაციის ღონისძიებები. განხორციელდება ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. ჩატარდება ბაღის სამეურნეო, აგრო-ტექნიკური და სარეაბილიტაციო სამუშაოები. უზრუნველყოფილი იქნება შეხვედრებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღების და ორგანიზების ღონისძიების წარმატებით განხორციელება. ჩატარდება სხვადასხვა ეკოსაგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებები. გაგრძელდება ზოოკუთხის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ღონისძიება. განხორციელდება რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, მოხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ბაღის მოვლა-პატრონობის სამუშაოების ფარგლებში, წლის განმავლობაში გაგრძელდება ბაღის ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებსა და პარკებში ეგზოტურ მცენარეთა მონიტორინგი და ფენოლოგიური დაკვირვება, მცენარეთა ინტროდუქციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, კოლექციის კონსერვაციის ღონისძიებები, ბაღის კოლექციის დაუზუსტებელი სახეობების რკვევასთან, ანალიზთან და დაზუსტებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, თესლის ბანკის შევსებასთან და გაცვლითი ფონდებით სარგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, გატარდება ასაკოვანი ეგზოტების სარეზერვო ფონდების შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, გაგრძელდება ტურისტულ მარშრუტებზე მცენარეთა ეტიკეტირება და ეგზოტების საკოლექციო ნაკვეთზე მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაციის სავსე სამუშაოები, ასევე გაგრძელდება კამერალური სამუშაოები ინვენტარიზაციის შედეგების მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში შესატანად. ხელი შეეწყობა ბაღის ჰერბარიუმის ფონდის შევსება-აღდგენასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას, ამ მიზნით, ასევე თესლთა გაცვლის საერთაშორისო სისტემაში ჩართულობისათვის მოეწყობა ექსპედიციები სხვადასხვა ფლორისტულ ოლქებში. ჩატარდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე სახეობათა გამოყვანასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც.

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ჩატარდება ყვავილოვან და დეკორატიულ მცენარეთა კოლექციის განახლებასთან და ინტროდუქციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, განხორციელდება ბაღის ტერიტორიის ლანდშაფტურ-არქიტექტურულ ზედამხედველობა. გაგრძელდება ვარდების, კამელიების და სხვა დეკორატიულ-ყვავილოვან მცენარეთა კოლექციის დაზუსტებასა და კოლექციის შევსება-აღდგენასთან დაკავშირებული სამუშაოები. გატარდება ღონისძიებები ფიტოპათოლოგიური, ენტომოლოგიური და ენტემოპათოგენური დაავადებების შესწავლასთან დაკავშირებით. ინტენსიურად იწარმოებს ბაღის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული ზედამხედველობა. ჩატარდება ბაღის ციტრუსოვანთა და ხეხილ-კენკროვანთა კოლექციის შევსება-განახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და შესაბამის საკოლექციო ნაკვეთებზე აგრო-ტექნიკური სამუშაოები. ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ბაღის ტერიტორიაზე სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, ყოველდღიურად განხორციელდება გზების, ბილიკების, სანიაღვრე არხების, ღობეების მონიტორინგი. ბაღი მონაწილეობას მიიღებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში. წარმატებით განხორციელდება ეკო-საგანმანათლებლო პროექტი „უფრო ახლოს ბუნებასთან“, მოეწყობა სხვადასხვა მცენარეთა პოპულარიზაციის მიზნით გამოფენები, ასევე, ბაღი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. ზოოკუთხის მოვლა-პატრონობის ღონისძიების ფარგლებში ზოოკუთხის მოზინადრეები უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებითა და პირველადი სამედიცინო მედიკამენტებით.

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა ბოტანიკურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. მომზადდება სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. განხორციელდება ნეკერჩხლების პარტერის (სკვერი) მოწყობის სამუშაოები, გაგრძელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, რომელიც გაზრდის ბაღის პოტენციალს და ეფექტურს გახდის სამეურნეო საქმიანობას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ადმინისტრირება და მართვა				3 674 600
შრომის ანაზღაურება	რაოდენობა	78	17909	1 396 900
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	რაოდენობა	161	7202	1 159 600
საოფისე-კომუნალური მომსახურებები				189 200
საბიუჯეტო გადასახადები				500 000
სატარნსპორტო ხარჯები				183 800
ბეჭდვითი მომსახურებები				42 400
საქონელი და მომსახურება, სხვა მიმდინარე ხარჯები				202 700
მცენარეთა კოლექციის მოვლა-პატრონობის, შევსების, განახლებისა და კონსერვაციის ღონისძიებები				168 500
ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა				231 200
შეხვედრებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და ორგანიზება				113 000
ეკო-საგანმანათლებლო და კულტურულ შემეცნებითი პროექტები		5	5980	29 900
ზოოკუთხის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები				158 000
ნეკერჩხლების პარტერის მოწყობის სამუშაოები		1	262500	262 500

გოდერძის ალპურ ბაღში საპიკნიკე სივრცის მოწყობა		1	35000	35 000
გოდერძის ალპურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება		1	200000	200 000
გარე გამოყენების ქსელური კამერების შესყიდვა-მონტაჟი				139 500
მწვანე კონცხის საავტომობილო შემოსასვლელის განაპირა ზოლში ღობის მოწყობა				32 000
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	ცალი	4	12500	50 000
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება				185 400
გენერატორის შექმნა	ცალი	5	1 220	6 100
დრონის შექმნა	ცალი	1	4 900	4 900
ფოტოაპარატის შექმნა	ცალი	1	1 800	1 800
ელექტრო ავტობუსის შექმნა	ცალი	2	30 900	61 800
სკანერის შექმნა ჰერბარიუმისთვის	ცალი	1	40 000	40 000
კომპიუტერული ტექნიკა	ცალი	6	2 367	14 200
თხილამურების შექმნა	ცალი	2	1 000	2 000
მოტობლოკის შექმნა	ცალი	1	2 500	2 500
ტრანსფორმატორის შექმნა	ცალი	1	1 300	1 300
ჟანგბადის კონცენტრატორის შექმნა	ცალი	1	3 000	3 000
საოპერაციო განათების შექმნა	ცალი	1	2 000	2 000
პორტატული თერმოსტატის შექმნა	ცალი	2	2 500	5 000
ავტოკლავის შექმნა	ცალი	2	2 000	4 000
ანალიზური სასწორის შექმნა	ცალი	1	2 500	2 500
დიგიტალური მიკროსკოპის შექმნა	ცალი	1	3 300	3 300
გამწოვი კარადის (მიკრობიოლოგიური) შექმნა	ცალი	1	1 000	1 000
მაცივრების შექმნა	ცალი	2	1 100	2 200
მზის კოლექტორის შექმნა	ცალი	1	14 000	14 000
GPS მოწყობილობის შექმნის ხარჯი	ცალი	1	1 700	1 700
კონდინციონერის შექმნა	ცალი	2	950	1 900
ბიოქიმიური ანალიზატორის შექმნა	ცალი	1	8 000	8 000
შეიკერის შექმნა	ცალი	1	1 200	1 200
PH მეტრის შექმნა	ცალი	1	1 000	1 000
სულ ქვეპროგრამა				5 244 600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ადმინისტრირება და მართვა	X	X	X	X
მცენარეთა კოლექციის მოვლა-პატრონობის, შევსების, განახლებისა და კონსერვაციის ღონისძიებები	X	X	X	X
ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა	X	X	X	X
შეხვედრებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და ორგანიზება	X	X	X	X
ეკო-საგანმანათლებლო და კულტურულ შემეცნებითი პროექტები	X	X	X	X
ზოოკუთხის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	X	X	X	X
ნეკერჩხლების პარტერის მოწყობის სამუშაოები	X	X	X	X
გოდერძის ალპურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება		X	X	X
მწვანე კონცხის საავტომობილო შემოსასვლელის განაპირა ზოლში ღობის მოწყობა	X	X	X	X
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა		X	X	X
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

უზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, შექმნილია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია საგანმანათლებლო და ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოოკუთხის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	განხორციელებული ეკო-საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა, გამოფენები	5	ცალი	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	მონიტორინგი
	პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივად განხორციელებული პროექტების რაოდენობა	2	ცალი	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	მონიტორინგი
	ფართობი, რომელზეც განახლებულია ინფრასტრუქტურა	69000	კვ.მ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	მონიტორინგი
	მცენარეთა სახეობები, რომელთა დამატება-განახლება განხორციელდა	700	ცალი	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	მონიტორინგი
	სანერგე მეურნეობაში გამოყვანილი ნერგებისა და ჩითილების რაოდენობა	5000	ცალი	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	მონიტორინგი
	მცენარეთა შესახებ მონაცემები, რომელიც შეყვანილია ელექტრონულ ბაზებში	1000	ცალი	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 04 01

პროგრამის დასახელება:

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სადამზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	63 667 500	14 707 100	15 430 000	16 230 400	17 300 000
საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	14 195 566	1 730 326	2 138 000	5 297 240	5 030 000
სულ პროგრამა	77 863 066	16 437 426	17 568 000	21 527 640	22 330 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული საადმინისტრაციო გარემო

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების	მოქმედი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა	7825	8070	8595	8545	8755	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა არსებული დასაშვები მაქსიმალური რაოდენობის თანაფარდობა ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვების საერთო რაოდენობასთან	45	82	30	25	20	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული საადმინისტრაციო გარემო	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ჩარიცხვის მსურველ მოქალაქეთა დაუკმაყოფილებელი კვალიფიციური განაცხადების რაოდენობის წილი ყოველწლიურად გამოთავისუფლებული და ახლად შექმნილი ადგილების ჯამთან (ყოველი წლის 15 სექტემბრის მდგომარებით)	22,6	21%	18%	16%	10%	%	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	შესაბამისი სტანდარტის მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა	30	31	32	33	34	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 04 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	14 707 100
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	14 707 100

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

აიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება აერთიანებს ქ. ბათუმის მუნიციპალურ საბავშვო ბაღებს. დღეის მდგომარეობით, გაერთიანება 33 საბავშვო ბაღისგან შედგება და 232 სააღზრდელიო ჯგუფს მოიცავს, რომელიც მთლიანობაში 8070 აღსაზრდელს ითვლის.

საბავშვო ბაღების მართვა ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესურსი და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების აღსაზრდელისთვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. საბავშვო ბაღებში სააღზრდელი პროცესის შეუფერხებლად განხორციელების, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი კვებასა და სწორი ფიზიკური განვითარების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მართვა-ადმინისტრირება				10 884 810
შრომის ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	1 338	6 555	8 770 100
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	21	3 331	69 960
კომუნალური ხარჯები	ბაღების რაოდენობა	33	25 617	845 370

ოფისის ხარჯები	ბაღების რაოდენობა	33	32 118	1 059 880
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	ა/მანქანების რაოდენობა	1	25 900	25 900
მივლინებები	თანამშრომლების რაოდენობა	4	150	600
სამედიცინო ხარჯები	ბაღების რაოდენობა	33	848	28 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	ბაღების რაოდენობა	33	2 576	85 000
საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა	აღსაზრდელების რაოდენობა	8 070	379	3 057 890
თანამშრომელთა ტრენინგები	გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობა	600	58	35 000
საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	ბაღების რაოდენობა			729 400
სათამაშოები	აღსაზრდელების რაოდენობა	8 070	19	150 000
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	ბაღების რაოდენობა	33	1 970	65 000
ჭურჭელი და ავეჯის აქსესუარები	ბაღების რაოდენობა	33	1 515	50 000
ავეჯი	ბაღების რაოდენობა	33	4 545	150 000
საბავშვო ბაღებისათვის ელექტრო ტექნიკის შეძენა	ბაღების რაოდენობა	33	758	25 000
სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები	ბაღების რაოდენობა	33	758	25 000
საბავშვო ბაღების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	ბაღების რაოდენობა	33	8 012	264 400
სულ ქვეპროგრამა				14 707 100

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მართვა-ადმინისტრირება	X	X	X	X
საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
თანამშრომელთა ტრენინგები			X	X
საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება		X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად ფუნქციონირებს

დამატებითი ინფორმაცია

არსებული 33 ბალიდან, 2 დაწესებულება არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და რეგულაციებს, ვინაიდან არ გააჩნია ეზო.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად ფუნქციონირებს	მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა	8070	რაოდენობა	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	კვარტალში ერთხელ	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მონიტორინგი
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და რეგულაციებს	31	რაოდენობა	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	კვარტალში ერთხელ	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მონიტორინგი
	გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	600	რაოდენობა	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	კვარტალში ერთხელ	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01 02
	04 01 03

ქვეპროგრამის დასახელება:

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 730 326
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 730 326

ქვეპროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქალაქის განვითარებასთან ერთად მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. ესტეტიკური და მიმზიდველი გარემოს შექმნა ქართულ საბავშვო-საგანმანათლებლო სივრცეს კიდევ უფრო დააახლოებს თანამედროვე ევროპულ-საგანმანათლებლო სივრცესთან. ქვეპროგრამის განხორციელება საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელს გახდის სახელმწიფოებრივ ზრუნვას მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეეძენებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის სათანადო პირობები. არსებული საბავშვო ბაღები არის აშენებული საკმაოდ დიდი ხნის წინ და შენობებს არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, რის გამოც საბავშვო ბაღების შენობების ნაწილი არის ამორტიზირებული და საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. გარდა ამისა, კონტინგენტის ზრდის გამო აუცილებელია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. ბავშვთა ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, ბევრ ქვეყანაში არსებობს და წარმოადგენს პირველ რგოლს განათლების სისტემაში. ქვეპროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღების ბავშვებისათვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის სამირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები	ერთეული	1	795 020	795 020
ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	878 000	878 000
საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	პროექტი	1	7 306	7 306
წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - ურების დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები				50 000
სულ ქვეპროგრამა				1 730 326

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები	x	x	x	x
ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა		x	x	x
ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

რეაბილიტირებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურა

დამატებითი ინფორმაცია

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა (მრავალწლიანი პროექტი 2019-2020 წლები, პროექტის ღირებულება 2,195,000 ლარი)
საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა 2019-2020 წ.წ. 30 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ღონისძიების დასახელება	ბიუჯეტი
ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები	795 020

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	878 000
საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	7 306

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
რეაბილიტირებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურა	ახალი ბაღის მშენებლობის რაოდენობა	1	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი
	კაპიტალურად რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობების რაოდენობა	1	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02
-------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
--

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2019-2022 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდა, ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება, ბათუმში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა.
--

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

<p>ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის, ასევე მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე ქალაქში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 7 კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელთაგანაც ყველაზე დიდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ბათუმში ასევე ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება. უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა.</p> <p>მნიშვნელოვანია ასევე სათანადო ყურადღება მიექცეს ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების ცნობადობის გაზრდას განათლების საერთაშორისო ბაზარზე. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმში ახალი, ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნასა და ფუნქციონირებას, განახორციელებს ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული იმ პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ცნობადობის გაზრდას. პრიორიტეტის ფარგლებში ასევე განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის გზით. ბათუმში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარება და ცნობადობის გაზრდა, იქნება გარანტი უფრო მეტი უცხოელის მოზიდვისა ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებში.</p> <p>პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:</p> <ol style="list-style-type: none">1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;2. საგანმანათლებლო ტურიზმის ხელშეწყობა;3. ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	174 000	40 000	40 000	44 000	50 000
ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	400 000	100 000	100 000	100 000	100 000
საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	144 000	30 000	36 000	36 000	42 000
სულ პროგრამა	718 000	170 000	176 000	180 000	192 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და ამალღებულია ბათუმელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება

დამატებითი ინფორმაცია

გაზრდილია ბათუმში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობა და კონკურენტუნარიანობა

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და ამალღებულია ბათუმელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება	უცხოეთში გაგზავნილი ახალგაზრდების რაოდენობა	20	20	20	22	25	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ლუკა ასათიანის სტიპენდიის მისაღებად აპლიკანტთა რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით.	10%	10%	10%	10%	10%	%	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა	-	5	6	6	7	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

	<p>უცხოეთში სტაჟირებაზე მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ- მასწავლებელთა რაოდენობა</p>	-	5	6	6	7	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია</p>	მონიტორინგი
--	--	---	---	---	---	---	-----------	--	--	-------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

04 02 01

ქვეპროგრამის დასახელება:

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	40 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	40 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმელი ახალგაზრდების პრაქტიკული უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

<p>ბათუმში, დინამურად მზარდ ქალაქში, ყოველწლიურად იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გადაწყვეტი სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხია. დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიისწრაფის პროფესიული განვითარებისკენ. დამსაქმებლების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას პოტენციური თანამშრომლის მიმართ მისი გამოცდილება წარმოადგენს. NACE-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამსაქმებელთა დაახლოებით 50% სტუდენტის რეზიუმეში სტაჟირებებს ანიჭებს უპირატეობას. ამავე ორგანიზაციის ცნობით, დაქირავებული თანამშრომლების 36% სწორედ სტაჟირების გავლის შედეგადაა მიღებული.</p> <p>მუნიციპალიტეტისათვის არსებობდა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების გამოიერება, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p> <p>ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების მხარდაჭერას, რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას გაივლიან უცხოეთში. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ 18-დან 29 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ფლობს არანაკლებ ერთ უცხო ენას და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს სტაჟირად მოწვევის დამადასტურებელ დოკუმენტს.</p> <p>ღონისძიების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით, 2019 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე.</p> <p>განაცხადები საკონკურსო კომისიის მიერ განიხილება შემდეგი წესით:</p> <p>კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.</p>
<p>კონკურსანტთა შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.</p>
<p>კონკურსის შედეგად შერჩეული ახალგაზრდა მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით, არაუმეტეს 2 000 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს მგზავრობის, ვიზის, დაზღვევისა და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაწესებულ სარეგისტრაციო ხარჯებს.</p> <p>ღონისძიების დასრულების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი ანგარიში.</p> <p>ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განაცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) შევსებული განაცხადის ფორმა;</p> <p>ბ) საერთაშორისო პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;</p> <p>გ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>დ) სარეკომენდაციო წერილი;</p> <p>ე) მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4);</p> <p>ზ) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.</p> <p>თ) განათლების დამადასტურებელი საბუთი ან ცნობა სამსახურიდან, ხოლო თუ სტაჟირების მსურველი სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ცნობა ამ დაწესებულებიდან.</p> <p>დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული.</p> <p>კონკურსების გამოცხადების, აპლიკაციების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების, ერთჯერადი ფულადი განაცემის ბენეფიციარზე გაცემის და ანგარიშგების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.</p>
<p style="text-align: right;">პროდუქტები</p>

დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა	დაფინანსებული პირი	20	2 000	40 000
სულ ქვეპროგრამა				40 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციართა შესარჩევად კონკურსის გამოცხადება და დებულების დამტკიცება	x			
კონკურსის ჩატარება, გამარჯვებულთა გამოვლენა და დაფინანსება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მათუშელი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირების გავლა და პრაქტიკული უნარების განვითარება

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ სტაჟიორთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 20 სტაჟიორის დაფინანსების შემდეგ, ამ ღონისძიებისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 20 სტაჟიორზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ბათუმელი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირების გავლა და პრაქტიკული უნარების განვითარება</p>	<p>უცხოეთში სტაჟირებაზე გაგზავნილი ახალგაზრდების რაოდენობა</p>	<p>20</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>კვარტალში ერთხელ</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების განყოფილება</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

04 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	100 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	100 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმელ სტუდენტთა სწავლის სტიმულირება.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

<p>განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მომავალი თაობისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწავლის მოტივაცია კი წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს სტუდენტის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს.</p> <p>მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, პირველ ყოვლისა წახალისებს ქალაქისთვის დეფიციტური და მნიშვნელოვანი მიმართულებების სტუდენტებს, რათა მათ გაზრდილი მოტივაციით მეტად აიმაღლონ სწავლის ხარისხი და საბოლოოდ ქალაქმა მიიღოს სპეციალისტი, რომელიც თავისი მიმართულებით მაღალკვალიფიციური იქნება.</p> <p>სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ საუკეთესო შედეგების მქონე 50 სტუდენტზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად.</p> <p>სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით.</p> <p>ამ ქვეპროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სტიპენდიის გაცემის დროს პირველ ეტაპზე განიხილება იმ სტუდენტთა დაფინანსების საკითხი, რომლებიც სწავლობენ შემდეგ საგანმანათლებლო მიმართულებებზე/დარგებზე/სპეციალობებზე: ინჟინერია (მშენებლობა), არქიტექტურა, ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა, კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრაცია/კონსერვაცია, არქეოლოგია, განათლების მეცნიერებები და მასწავლებლის განათლება. თუ პირველი ეტაპზე ვერ შეირჩა 50 საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტი, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ამ ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაცვით, მოხდება სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო მიმართულებებზე/დარგებზე/სპეციალობებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.</p>
<p>ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია თვეში შეადგენს 200 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.</p> <p>თუ სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით.</p>
<p>თუ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, სტიპენდია გაიცემა შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:</p> <p>ა) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;</p> <p>ბ) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;</p> <p>გ) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად. თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თუ სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც სამაგისტრო გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული აქვს უფრო მაღალი სკალირებული ქულა.</p> <p>თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს, წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, მისაღებ გამოცდაზე, ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულა.</p>

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი; გ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4); დ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის მითითებით;

ვ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის შედეგების შესახებ;

ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი ბაკალავრია;

თ) ინფორმაცია საერთო სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში და ზოგად უნარებში მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი მაგისტრანტია.

ქვეპროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცემა სემესტრებში ერთხელ. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2019 წლის მაისის თვისა და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს. 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2019 წლის ნოემბრისა და ერთობლივად მოიცავს 6 სასწავლო თვეს.

კონკურსის ჩატარების წესი და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე.

სტიპენდია არ გაიცემა აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ბოლო სემესტრების საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტების საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა (4 თვე, თვეში 200 ლარი)	კაცი	50	800	40 000
2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა (6 თვე, თვეში 200 ლარი)	კაცი	50	1 200	60 000
სულ ქვეპროგრამა		100		100 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	X			
2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა (4 თვე, თვეში 200 ლარი)	X			
კონკურსის გამოცხადება და განაცხადების მიღება				

	განაცხადების განხილვა და ბენეფიციართა დაფინანსება	X	X		
2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა (6 თვე, თვეში 200 ლარი)	კონკურსის გამოცხადება და განაცხადების მიღება			X	
	განაცხადების განხილვა და ბენეფიციართა დაფინანსება				X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

სტიმულირებულია ბათუმელ სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სტიმულირებულია ბათუმელ სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება	სტუდენტთა რაოდენობა, რომლებზეც გაცემულია სტიპენდია	100	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების განყოფილება	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

04 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	30 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	30 000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირებისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაცია მოიცავს აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას. ამ მიმართებით თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს შექმნა, ხარისხის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაფართოება და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესია. დღესდღეობით, ბათუმის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიაღწია განვითარების იმ დონეს, როდესაც შეუძლია საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარს შესთავაზოს პოტენციურად კონკურენტული პროდუქტი და ამით გაზარდოს ქალაქის ინტელექტუალური და ეკონომიკური შესაძლებლობები. ბათუმში, შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილია. ქალაქი ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება. ბათუმში, საგანმანათლებლო ტურიზმი დაკავშირებულია ქალაქში არსებული უმაღლესი სასწავლებლების ცნობადობის გაზრდასთან. საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაძლიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, ასევე, უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსის შემდგომი განვითარება.

ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური კაპიტალის გაძლიერებისა და საერთაშორისო - სამეცნიერო საზოგადოებასთან ინტეგრირების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს ამ დაწესებულებათა ლექტორ - მასწავლებლების უცხოეთში სტაჟირებას და საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებში (მაგ. კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი) მონაწილეობას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბათუმში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა მხარდაჭერას, რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას გაივლიან/საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს სტაჟირად მოწვევის ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტი. ღონისძიების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით, 2019 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე. განაცხადები საკონკურსო კომისიის მიერ განიხილება შემდეგი წესით:

კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსანტთა შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

კონკურსის შედეგად შერჩეული ბენეფიციარი მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით, სტაჟირებაში მონაწილეობისათვის არაუმეტეს 3 000 ლარის ოდენობით. ფინანსური დახმარება მოიცავს მგზავრობის, ვიზის, დაზღვევის, ცხოვრებისა და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაწესებულ სარეგისტრაციო ხარჯებს. ღონისძიების დასრულების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი ანგარიში.

ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განაცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) შევსებული განაცხადის ფორმა;
- ბ) საერთაშორისო პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
- გ) სარეკომენდაციო წერილი;
- დ) მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4);
- ზ) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.

თ) ცნობა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც ლექტორ - მასწავლებელი არის დასაქმებული. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული.

კონკურსების გამოცხადების, აპლიკაციების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების, ერთჯერადი ფულადი განაცემის ბენეფიციარზე გაცემის და ანგარიშგების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების მხარდაჭერა;	კაცი	5	3 000	15 000

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა.	კაცი	5	3 000	15 000
სულ ქვეპროგრამა				30 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების მხარდაჭერა;	კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	X			
	განაცხადების მიღება	X	X	X	X
	განაცხადების განხილვა	X	X	X	X
	ბენეფიციართა დაფინანსება	X	X	X	X
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა.	კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	X			
	განაცხადების მიღება	X	X	X	X
	განაცხადების განხილვა	X	X	X	X
	ბენეფიციართა დაფინანსება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირება და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 10 ბენეფიციარის დაფინანსების შემდეგ, ამ ღონისძიებისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 10 ბენეფიციარზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირება და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა</p>	<p>დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>10</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>კვარტალში ერთხელ</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების განყოფილება</p>	<p>მონიტორინგი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 03
-------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2019-2022 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

<p>ყველას აქვს ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.</p> <p>ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.</p> <p>ბოლო წლებში განათლების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.</p> <p>საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის - კვლევის ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს ტრანსპორტით უზრუნველყოფილნი არიან სკოლათა მესამედი მოსწავლეები (თუმცა, შემთხვევათა მხოლოდ 19%-ში ემსახურება სკოლის ტრანსპორტი ყველა სსსმ მოსწავლეს). სსსმ მოსწავლეებისათვის სასკოლო ტრანსპორტის არარსებობა მშობლების უმეტესობას არჩევანში საკმაოდ ზღუდავს და სკოლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილიდან შედარებით შორსაა, ფიზიკურად ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის. საბოლოო ჯამში, სკოლის ფიზიკური გარემოს ნაკლები ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან მაკრო ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, ვინაიდან, ფიზიკური სივრცის დაბალი ხელმისაწვდომობა პირდაპირ აისახება სოციალურ მიმდებლობაზე. ფიზიკური გარემო, რომელიც არ ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს, ამ უკანასკნელებს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში და ზრდის მასტიგმატიზირებელი აღქმების გაჩენის/გამძლიერების საფრთხეს.</p> <p>მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში, ამ მიზნით ხორციელდება ქვეპროგრამა „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებას.</p>

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა	44 000	11 000	11 000	11 000	11 000
სულ პროგრამა	44 000	11 000	11 000	11 000	11 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
	2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					
გაზრდილია სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა	10	10	10	10	10	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 04 03 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	11 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	11 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვისა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება. ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის ბაზაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიხსნა ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის. სკოლაში ირიცხება ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 10 მოსწავლე, რომელთა ტრანსპორტირებას საჯარო სკოლა ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირება, შეიქმნა ქვეპროგრამა „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, 2019 წლის განმავლობაში, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ქ. ბათუმის N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება).

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება	მოსწავლე	10	1 100	11 000
სულ ქვეპროგრამა				11 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება</p>	<p>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სატრანსპორტო მომსახურებით</p>	<p>10</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილება</p>	<p>კვარტალში ერთხელ</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01

პროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ქალაქის, როგორც რეგიონული მნიშვნელობის სპორტული ცენტრის დამკვიდრება, რაც თანხვედრაში მოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტებთან. რეგიონული სპორტული ცენტრის ფორმირება დაკავშირებულია ქალაქში მასობრივი და პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ადგილობრივი სამოყვარულო და პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებასთან და რაც მთავარია ქალაქის მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა;
- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;
- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 212 000	392 000	250 000	270 000	300 000
საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	1 400 000	250 000	350 000	400 000	400 000
ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	210 000	50 000	50 000	55 000	55 000
სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	11 353 500	4 853 500	1 800 000	2 200 000	2 500 000
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	1 492 400	373 100	373 100	373 100	373 100

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	640 000	160 000	160 000	160 000	160 000
სულ პროგრამა	16 307 900	6 078 600	2 983 100	3 458 100	3 788 100

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები	სამოყვარულო სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	1550	1600	1650	1700	1800	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა	4500	4550	4600	4650	4800	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში მოღვაწე ადგილობრივი სპორტსმენების % - ლი წილი	65%	67%	70%	72%	75%	%	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა	2	3	3	3	3	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

	<p>პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი სპორტსმენების მიღწევების რაოდენობა საერთაშორისო სპორტულ აქტივობებში.</p>	9	10	11	12	12	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია</p>	მონიტორინგი
--	--	---	----	----	----	----	-----------	--	--	-------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	387 000
სხვა წყარო	5 000
სულ ქვეპროგრამა	392 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია; დანაშაულის პრევენცია; დაავადებათა პრევენცია; წარმატებული სპორტსმენების წახალისება და მათი ჩართვა მაღალი მიღწევების სპორტში;

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მასობრივი სპორტი აერთიანებს ყველა პირს, რომელიც დაკავებულია ნებისმიერი სპორტული/ფიზიკური აქტივობის ორგანიზებული ან არაორგანიზებული ფორმით, განურჩევლად რასისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური მდგომარეობისა, რელიგიური მრწამსისა და ფიზიკური შესაძლებლობისა. მასობრივი სპორტის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება- პოპულარიზაციას. მასობრივი სპორტი პირდაპირ კავშირშია და წარმოადგენს საფუძველს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა; გარდა ამისა, მასობრივი სპორტის განვითარება იძლევა შედეგს მრავალი მიმართულებით, მათ შორის:

- დანაშაულის პრევენცია, ბავშვებისა და ახალგაზრდების ენერჯის და აგრესიულობის მოქცევა ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების კალაპოტში. თავისუფალი დროის ორგანიზებული ხარჯვა;
- დაავადებათა პრევენცია, ფიზიკური აქტიურობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მასობრივ სპორტში აქტიური ჩართულობით დაავადებათა პრევენციისა და მოსახლეობის გაჯანსაღების საფუძველების შექმნა. მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება ჩვენ ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით იძლევა რეგრესს და ზრდის სპორტით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობას; პრიორიტეტად მივიჩნევთ ღონისძიებაში ჩართული სპორტსმენების რაოდენობის მაქსიმალურად და სისტემატიურად ზრდას; ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ბავშვები სკოლამდელი და სასკოლო ასაკის, რომლებიც არ არიან ჩართული მაღალი მიღწევების სპორტულ კლუბებში, ასევე სტუდენტები, ახალგაზრდები, ვეტერანები და შშმ;
- აღსანიშნავია ასევე რომ ჩვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება შესაბამისი სპორტული ფედერაციების ჩართულობით, რაც აუცილებლად ნიშნავს ხარისხს, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტია სპორტსმენტა დიდი რაოდენობის ჩართულობის კუთხით;

<p>1. ეზოს ფეხბურთი - ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში ჩამოყალიბდება 10 საფეხბურთო გუნდი მოზარდ ჯგუფთა შორის და ორი საფეხბურთო გუნდი მოზარდ გოგონებს შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2004-2009 წლებში დაბადებული მოზარდები, გუნდებს დაენიშნებათ მწვრთნელები, ვარჯიშები ჩატარდება მინიმუმ სამი ვარჯიში კვირაში. 2019 წლის 15 იანვრიდან 25 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდება საგაზაფხულო-საშემოდგომო ლიგა, სადაც გამოვლინდება როგორც შეჯიბრის ასევე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებები. ისინი დაჯილდოვდებიან თასებით,მედალებით და ასევე გაემგზავრებიან ექსკურსიაზე. ტურნირი ჩატარდება ადმინისტრაციული უბნების ტერიტორიაზე. ღონისძიება პროპაგანდას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს.</p>
<p>2. ქუჩის კალათბურთი (Street ball) - ღონისძიება ჩატარდება ორ ეტაპად საგაზაფხულო და საშემოდგომო ლიგა ტურნირის მთავარი მიზანია მონაწილეების აქტიური ჩართვა ღონისძიებაში. ღონისძიება ითვალისწინებს გამოვლინდეს როგორც გამარჯვებული გუნდები ასევე სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები მათ გადაეცემათ სხვადასხვა პრიზები და ასევე ფასიანი ვაუჩერები. ღონისძიება პროპაგანდას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს.</p>
<p>3. ვეტერანთა შორის სპორტული თამაშები - ღონისძიება ჩატარდება ორ ეტაპად, გამოვლინდება გამარჯვებულები ნარდში, შაში, დარტსში და მაგიდის ჩოგბურთში, როგორც მამაკაცებში ასევე მანდილოსნებში, დაჯილდოვდებიან სიგელებით, თასებით და ფასიანი ვაუჩერებით.</p>
<p>4. სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის - ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს 100-მდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, ღონისძიება ჩატარდება ერთ ეტაპად. ღონისძიება ითვალისწინებს შეჯიბრს ამპუტანტთა ფეხბურთში, სმენა-დაქვეითებულთა ფეხბურთში, შაში, ნარდი, დარტის და მკლავკიდი. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, სიგელებით, მედალებით და ფასიანი ვაუჩერებით. ღონისძიების მიზანია ამ ადამიანების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
<p>5. აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა - ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს 40-დე ბავშვი. ჩატარდება აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა ფესტივალი სადაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. მონაწილე სპორტსმენებს გადაეცემა წამახალისებელი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ამ ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
<p>6. სასკოლო ოლიმპიადა - სპორტულ ღონისძიება "სასკოლო ფესტივალი", მონაწილეობას მიიღებს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საჯარო სკოლების გუნდები. თამაშები ჩატარდება შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი; კალათბურთი; ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, მძლეოსნობა და მხიარული თამაშები, როგორც ვაჟებში ისე გოგონებში. პირველი ეტაპზე, მოხდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც განისაზღვრება კონკრეტული კალენდარი (სახეობების მიხედვით) და სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, განხორციელდება სპორტის პედაგოგების სტიმულირება ფასიანი ვაუჩერებით და მოხდება მათ აქტიური ჩართულობა, რაც გაზრდის გუნდების, მონაწილეების და შესაბამისად აქტივობების რაოდენობას. მეორე ეტაპი დაიწყება აპრილის თვეში და ჩატარდება შეჯიბრებები - ფეხბურთში, კალათბურთში და მხიარულ თამაშებში. მესამე ეტაპი კი დაიწყება ოქტომბრის თვეში. ჩატარდება შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ბადმინტონში, ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჯამში ჩატარდება 500 მეტი აქტივობა, ჩართული იქნება 2000-მდე მოზარდი, როგორც ვაჟები ასევე გოგონები. გამარჯვებული გუნდები მიიღებენ მონაწილეობას რეგიონალურ შეჯიბრში. ღონისძიების მიზანია, ბავშვების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პრიზიორების გამოვლენა და მათი სტიმულირება, შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სასკოლო სპორტის გააქტიურება. აქტივობების უმეტესობა დაიგეგმება შესაბამისი ღია მოედნებზე, სადაც მოხდება გულშემმატკივართა მაქსიმალური მიბილიზება</p>
<p>8. მძლეოსნური გარბენი - ღონისძიება ჩატარდება ერთ ეტაპად. მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა მოხალისეს. გამოვლინდება გამარჯვებულები, როგორც მანდილოსნებში, ასევე მამაკაცებში. ჯილდო გადაეცემათ როგორც გამარჯვებულებს ასევე მონაწილეთა შორის ყველაზე უზუცესს და ყველაზე ახალგაზრდას. ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
<p>9. ველო გარბენი - ღონისძიებაში მონაწილეობა შეეძლება ყველა მსურველს, გარბენი ჩატარდება ზღვისპირა ზოლის პლომინატზე გამოვლინდება გამარჯვებულებები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი ვაუჩერით. ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
<p>10. ბათუმის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-შავი ზღვის თასი .ტურნირი ჩატარდება პირველად ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით,მონაწილეობას მიიღებს 100 მეტი სპორტსმენი ღონისძიების მიზანია ჭიდაობის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</p>

<p>11. ქართული ჭიდაობა ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული პირები . ჯამში ჩართული იქნება 1000 პიროვნება. ისინი დაჯილდოვდებიან სიგელებით თასებით, მედლებით საპრიზო ფონდი განისაზღვვება როგორც ფულადი ვაუჩერებით ასევე გამარჯვებულ მონაწილეს აბსოლტურ წონაში გადაეცემა ცოცხალი ცხვარი და ღონისძიების მიზანია აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>				
<p>12. ქვიშის რაგბის ღია ფესტივალი ქვიშის რაგბის ჩემპიონატი ჩატარდება მოყვარულ სპორტსმენთა შორის რომელშიც მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ არის. ჩემპიონატში მონაწილეობას 100 მეტი სპორტსმენი მიიღებს. ჩემპიონატი ჩატარდება სარაგბო კლუბის და რაგბის კავშირის ჩართულობით. მონაწილეობა აკრძალვება მოქმედ პროფესიონალ რაგბისტებს; გამარჯვებულ და საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცემათ პრიზები და ფასიანი ვაუჩერები რაც ვფიქრობთ გაზრდის მოტივაციას რაც შეიძლება ბევრი გუნდი და სპორტსმენი ჩაერთოს;</p>				
<p>13. ქვიშის ფრენბურთის ღია ფესტივალი ქვიშის ფრენბურთის ჩემპიონატი ჩატარდება მოყვარულ სპორტსმენთა შორის რომელშიც მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ არის. ჩემპიონატში მონაწილეობას 80 მეტი სპორტსმენი მიიღებს. ჩემპიონატი ჩატარდება ფრენბურთის კლუბის და ფრენბურთის ფედერაციის ჩართულობით. მონაწილეობა აკრძალვება მოქმედ პროფესიონალ ფრენბურთელებს; გამარჯვებულ და საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცემათ პრიზები და ფასიანი ვაუჩერები რაც ვფიქრობთ გაზრდის მოტივაციას რაც შეიძლება ბევრი გუნდი და სპორტსმენი ჩაერთოს;</p>				
<p>14. მინი-ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის მინი-ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის ჩატარდება 2 ეტაპად: საგაზაფხულო და სამშობლოდგომო ლიგა; ტურნირის მონაწილეობას მიიღებს 10 გუნდი. აუცილებელია წარმოდგენილი გუნდში ირიცხებოდეს მხოლოდ თანამშრომლები რომლების არ არიან ჩართული პროფესიულ ფეხბურთში; გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდება თასებით და ფასიანი ვაუჩერებით;</p>				
<p>15. ჩოგბურთის ფესტივალი ჩოგბურთის ფესტივალის მონაწილეობას მიიღებს 50 მეტი მოყვარული სპორტსმენი; გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდება პრიზებით და ფასიანი ვაუჩერებით;</p>				
<p>16. სპორტული ფესტივალი - მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჭადრაკი - ფესტივალი ჩატარდება სპორტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით 6 აპრილს. ფესტივალი ჩატარდება სამი სპორტის სახეობაში ერთდროულად. მონაწილეობას მიიღებს 100-ზე მეტი მოყვარული სპორტსმენი; გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდება თასებით და ფასიანი ვაუჩერებით;</p>				
<p>17. ბათუმის ღია ფესტივალი შოტოკან კარატე-დოში ჭაბუკთა და ვეტერანთა შორის - მასობრივი სპორტისა და სპორტული ტურიზმის განვითარების მიზნით ჩატარდება ბათუმის ღია ფესტივალი შოტოკან კარატე-დოში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ სპორტის სახეობით დაინტერესებული ადგილობრივი და ჩვენს ქალაქში ჩამოსული ჭაბუკები და ვეტერანები, საერთო ჯამში ფესტივალში ჩართული იქნება 100-ზე მეტი პირი. ფესტივალი ჩატარდება ივნისის თვეში. საპრიზო ადგილზე გასული პირები დაჯილდოვდებიან ფასიანი ვაუჩერებით. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის მასშტაბურობა კარგი საშუალებაა ბათუმის, როგორც ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსის ფარგლებში მაღალი შეფასებისათვის. ფესტივალის მიზანია შოტოკან კარატე-დოს პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.</p>				
<p>18. 'ბათუმის ფრანგების ფესტივალი - ფრანგების ფესტივალი ბათუმში პირველად ჩატარდა 2018 წელს, რასაც საზოგადოების მაღალი აქტივობა და დადებითი შეფასება მოჰყვა. ფესტივალის მიზანია სპორტული და სამოყვარულო ფრანოსნობის განვითარება, ბათუმის სანაპირო ზოლის გამოცოცხლება და სპორტულად დატვირთვა. მიმდინარე წელს, ფესტივალის ფარგლებში, გაიმეება 100-მდე ფრანი (გიგანტური ჯადოსნური თევზი, დიდი მეგა ბურთები, დელტები, რვაფეხები, გულები და ა.შ.), დაგეგმილია სამოყვარულო და სპორტული ფრანგების შოუს გამართვა, დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდება მარსტერკლასები (სამოყვარულო ფრანგების გაშვების სწავლება და ხელნაკეთი ფრანგების აწყობა), ფესტივალი ასევე მოიცავს მოწვეული მხატვრების მიერ ხელნაკეთი ფრანგების მონატვას. ფესტივალი გაფორმებული იქნება სხვადასხვა სახის და ზომის ბანერებითა და დროშებით. ფესტივალს გაუძღვება პროფესიონალი წამყვანი და მუსიკალურად გააფორმებენ მოწვეული დიჯეები. ფესტივალზე დასწრება და მონაწილეობა თავისუფალია.</p>				
დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

ეზოს ფეხბურთი				91 400
მწვრთნელების და კოორდინატორების ხელფასი	ლარი	14	4 393	61 500
სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა	რაოდენობა	536	31	16 500
ღონისძიების ორგანიზება				1 700
საპრიზო ფონდი				11 700
Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა	რაოდენობა			14 000
ვეტერანთა შორის სპორტული თამაშები	რაოდენობა			6 000
სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის	რაოდენობა			16 000
აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა				25 100
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	რაოდენობა	4	3 900	15 600
ღონისძიების ორგანიზება				9 500
სასკოლო ოლიმპიადა	რაოდენობა			40 000
მძლეოსნური გარბენი				6 500
ველო გარბენი				8 000
ბათუმის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-შავი ზღვის თასი				35 000
ქართული ჭიდაობა				24 500
კოორდინატორების ხელფასი		2	5 700	11 400
ინვენტარით უზრუნველყოფა				5 300
ღონისძიების ორგანიზება				4 320
საპრიზო ფონდი				3 480
ქვიშის რაგბის ღია ფესტივალი				9 000
ქვიშის ფრენბურთის ღია ფესტივალი				9 000
მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის				14 750
ჩოგბურთის ფესტივალი				5 000
სპორტული ფესტივალი - მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჭადრაკი				12 000
ბათუმის ღია ფესტივალი შოტოკან კარატე-დომი ჭაბუკთა და ვეტერანთა შორის				35 000
ტენდერის საფასური				750
ბათუმის ფრანგების ფესტივალი (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება)		1		40 000

სულ ქვეპროგრამა				392 000
-----------------	--	--	--	---------

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
დასახელება				
ეზოს ფეხბურთი	X	X	X	X
Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა		X		
ვეტერანთა შორის სპორტული თამაშები	X	X		
სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის				X
აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა	X	X	X	X
სასკოლო ოლიმპიადა		X		X
მძლეოსნური გარბენი			X	
ველო გარბენი		X		
ბათუმის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში შავი ზღვის თასი	X	X		
ქართული ჭიდაობა	X	X	X	X
ქვიშის რაგბის ღია ფესტივალი		X	X	
ქვიშის ფრენბურთის ღია ფესტივალი			X	
მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის				X
ჩოგბურთის ფესტივალი			X	
სპორტული ფესტივალი - მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჭადრაკი		X	X	
ბათუმის ღია ფესტივალი შოტოკან კარატე- დომი ჭაბუკთა და ვეტერანთა შორის		X	X	
ტენდერის საფასური	X	X	X	X
ბათუმის ფრანგების ფესტივალი (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება)			X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა	ჩატარებული სპორტული აქტივობების რაოდენობა	2000	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	1300	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	დასაკმებელი მწვრთნელების რაოდენობა	17	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	სამოყვარულო გუნდების (ეზოს, საუზნო, სამოყვარულო) რაოდენობა	66	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	250 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	250 000

ქვეპროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისა და სპორტსმენების სპორტული ოსტატობის დონის ამაღლების ხელშეწყობა. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მეშვეობით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ქალაქის პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სახის სპორტული ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებას. ამავდროულად ქალაქში გააქტიურდება სპორტული ცხოვრება, განვითარდება სპორტის სხვადასხვა სახეობა.

ბათუმი სპორტული ტრადიციებითაა მდიდარი და ქალაქს უმაღლესი დონის შეჯიბრებების მიღების ბრწყინვალე გამოცდილება აქვს: განვლილ წლებში ბათუმში გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში, მშვილდოსნობაში ევროპის თასის ფინალური ეტაპი ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა ქვიშაზე, ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი ქვიშის ხელბურთში. ქალაქში ყოველწიურად ტარდება მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით სხვადასხვა სპორტული ტურნირები.

2018 წელს ბათუმში საჭადრაკო სამყაროში უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მასშტაბური ღონისძიება - საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდა, რომელშიც FIDE-ს წევრი 189 ქვეყნის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა ითამაშა და მასში 4000-მდე მოჭადრაკემ და სხვა ოფიციალურმა პირმა მიიღო მონაწილეობა.

2018 წლის ივლისში ACES Europe-მა (ევროპის დედაქალაქებისა და ქალაქების სპორტის ფედერაციამ) ბათუმს 2019 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიანიჭა. მიღებული სტატუსი ადასტურებს, რომ ბათუმი ეტაპობრივად ყალიბდება როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ცენტრი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ზრუნავს რათა გაზარდოს ბათუმის, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის, როგორც ქალაქის ერთ - ერთი მაპროფილებელი მიმართულების განვითარებას.

ქვეპროგრამის ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 ოქტომბრის N2769 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შერჩეული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერას. ქვეპროგრამა ხელს უწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, სპორტული ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი სპორტსმენების კვალიფიკაციის ზრდას, მათი რეიტინგული მონაცემების ამაღლებას და სხვ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მხარს დაუჭერს შემდეგ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს:

1. ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში - ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 400 უცხოელი და 15 ადგილობრივი სპორტული სუბიექტი. ტურნირის ორგანიზაციული მხარე მოიცავს სპორტული დელეგაციების მიღებას, დაბინავებასა და სპორტსმენთა აკრედიტაციას; ტურნირის მსაჯთა სემინარ-კონსულტაციას; ბრიფინგის მოწყობასა და კენჭისყრას; ტურნირის გახსნის ცერემონიალს, ტურნირის ჩატარებას, შეხვედრებს ოფიციალურ პირებთან, გამარჯვებულთა დაჯილდოებასა და ტურნირის დახურვას.

2. ბათუმის ღია საერთაშორისო უშუ-კუნგფუს ჩემპიონატი - ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 700-დე უცხოელი და 50 ადგილობრივი სპორტსმენი. ქ. ბათუმში ნაკლებადაა ცნობილი უშუ კუნგფუს სახეობა და ტურნირი ემსახურება ამ სახეობის პოპულარიზაციასა და მისი მეშვეობით ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქის ცნობადობის ამაღლებას. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მსაჯების სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფა და ღონისძიების ვიდეო გადაღებისა და გაშუქების უზრუნველყოფა.

3. რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში - ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 11 უცხოელი და 2 ადგილობრივი სპორტული სუბიექტი. რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის სპორტულ ტანვარჯიშში მიზანია სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია. ტურნირის ხარჯები მოიცავს სასტუმროს, კვებისა და მონაწილეთა ტრანსპორტირებით მომსახურების ხარჯებს. ასევე, მონაწილეთა დაჯილდოებას სპეციალური პრიზებით.

4. აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები) - ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 24 უცხოელი და 8 ადგილობრივი სპორტული სუბიექტი. აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ჩემპიონატი იწყება ივნისში, ტარდება 5 ტურად, მათ შორის მე-4 ტური საქართველოში სექტემბერში - ბათუმში გაიმართება. იგი არის A კლასისი სარეიტინგო ჩემპიონატი, ხარჯები მოიცავს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, გუნდების განთავსებას სასტუმროში, კვებას, ტრანსპორტირებასა და შეჯიბრებების ჩატარებას, სპირიზო ადგილებზე გასული მონაწილეების თასებით დაჯილდოებას და სხვა თანმდევ მომსახურებას.

5. საერთაშორისო A - კლასის ტურნირი „Batumi Open“ - ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 300 უცხოელი და 900 ადგილობრივი სპორტული სუბიექტი. ტურნირის ისტორია 13 წელს ითვლის და მიზნად ისახავს აჭარაში სპორტული ცეკვების განვითარებას. 2019 წელს დაგეგმილია მე-19 საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. ტურნირზე ჩამოდის 20-დე ქვეყანა. ტურნირის ხარჯები მოიცავს სასტუმროსა და სატრანსპორტო მომსახურებას.

6. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ორგზის მსოფლიო თასის მფლობელის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის" - ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 9-15 უცხოელი და 24 ადგილობრივი სპორტული სუბიექტი. ტურნირი მოიცავს შემდეგ ხარჯებს: უცხოელი სპორტული დელეგაციების მიღება, დაბინავება და სპორტსმენთა აკრედიტაცია; ტურნირის მსაჯთა სემინარ-კონსულტაცია; ბრიფინგის მოწყობა, კენჭისყრა; გახსნის ცერემონიალი, გამარჯვებულთა დაჯილდოება, დახურვა და ტურნირის ორგანიზებისათვის საჭირო სხვა თანმდევ მომსახურებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის სპორტული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების გაფორმებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების წესი) მოწესრიგდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში	ცალი	1	80 000	80 000
ბათუმის ღია საერთაშორისო უშუ-კუნგფუს ჩემპიონატი	ცალი	1	15 000	15 000

რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში	ცალი	1	25 000	25 000
აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები)	ცალი	1	20 000	20 000
საერთაშორისო A - კლასის ტურნირი „batumi Open“	ცალი	1	20 000	20 000
დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ორგზის მსოფლიო თასის მფლობელის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის	ცალი	1	90 000	90 000
სულ ქვეპროგრამა				250 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში		x		
„ბათუმის ღია საერთაშორისო უშუ-კუნგფუს ჩემპიონატი“			x	
რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში			x	
აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები)			x	
საერთაშორისო A - კლასის ტურნირი „batumi Open“			x	
დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ორგზის მსოფლიო თასის მფლობელის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის		x		

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ხელშეწყობილია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები და ადგილობრივი სპორტსმენების პროფესიული განვითარება.

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა და ერთეულის ფასი წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარება და ადგილობრივი სპორტსმენების პროფესიული განვითარება.	ჩატარებული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	6	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ტურნირებში მონაწილე უცხოელი სპორტსმენების რაოდენობა (არანაკლებ)	200	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ტურნირებში მონაწილე ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობა (არანაკლებ)	300	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 01 03

ქვეპროგრამის დასახელება:

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	50 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ბათუმელი სპორტსმენების/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდების ოსტატობის ამაღლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენების/სპორტული გუნდების წახალისება.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მათი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება.

ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელ სპორტსმენების/მწვრთნელების პროფესიულ ზრდას, გამოცდილების გაღრმავებას, ქართული სპორტის სხვადასხვა სახეობების საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენას, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის კონტაქტების დამყარებას, სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაფასებასა და სტიმულირებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია:

1. ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა - ქვეპროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა მაღალი დონის ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ფინანსურ დახმარებას მიიღებენ წარმატებული ბათუმელი სპორტსმენები, მწვრთნელები. კონკურსანტთა შერჩევა განხორციელდება დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული ბენეფიციარი მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით, არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, რომელიც ითვალისწინებს: ტურნირში მონაწილეობისა და სპორტული ეკვიპირების საფასურს; სასტუმრო; მგზავრობის; ვიზისა და დაზღვევის ხარჯებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი და სააპლიკაციო ფორმა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- დ) რეკომენდაცია საქართველოს ეროვნული ფედერაციიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფედერაციიდან;
- ე) ინფორმაცია სპორტსმენის არსებული რეიტინგის შესახებ;
- ვ) ოფიციალური მიწვევის ან/და მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზ) ინფორმაცია საერთაშორისო ტურნირის შესახებ;
- თ) CV.

დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული.

თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

 პროექტის განაცხადის ფორმა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები	ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	32	რაოდენობა	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03 04

ქვეპროგრამის დასახელება:

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	499 667
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	499 667

ქვეპროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ფესტივალების განხორციელების ხელშეწყობა, კულტურის და ხელოვნების სფეროზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ქალაქი ფართო რეგიონული მასშტაბით ეტაპობრივად ყალიბდება როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. აღნიშნულის საუკეთესო დასტური კი ქ. ბათუმში გამართული საერთაშორისო ფესტივალებია, რომლებიც უამრავ ადგილობრივ და უცხოელ მაცურებელსა და მსმენელს იზიდავს და ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 ოქტომბრის N2770 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შერჩეული პროექტების (საერთაშორისო ფესტივალების) მხარდაჭერას, რაც გაზრდის კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას, უცხოელი მაცურებლისა და მსმენლის მოზიდვას, ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას, ბათუმელი ხელოვანების შემოქმედებით ზრდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მხარს დაუჭერს შემდეგ ფესტივალებს:

1. ბათუმის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ -
 ფესტივალი ქ. ბათუმში პირველად 2009 წელს გაიმართა და ხელოვნების ამ მიმართულებით სიახლეებსა და ურთიერთობებს დაუდო სათავე. 9 წლის განმავლობაში ფესტივალი გადაიქცა ანიმაციურ ფილმების ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალად და გახდა ქალაქის კულტურული ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი სიმბოლო. ამ წლების განმავლობაში უამრავმა ფილმმა მიიღო მონაწილეობა ფესტივალში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალის ფარგლებში იმართება სხვადასხვა გასართობ-შემეცმნებითი ღონისძიებები, როგორებიცაა: უახლესი ქართული და უცხოური ანიმაციური ფილმების კინოჩვენებები, ვორქშოპები - სადაც ანიმაციით დაინტერესებულ ახალგაზრდებს პროფესიონალი ანიმატორები აცნობენ ანიმაციის წარმოების პროცესებს და ეხმარებიან მათ საკუთარი პატარა ანიმაციის შექმნაში, ახალგაზრდა ანიმატორების პროექტების პრეზენტაციები, მასტერკლასები - რომლებსაც ფესტივალზე სპეციალურად სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული პროფესიონალები მართავენ, თოქ-შოუ - რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს საშუალება აქვთ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღონ სხვადასხვა ინფორმაცია წარმატებული კინოხელოვნებისგან და ა.შ., საქმიანი შეხვედრები - რომლის დროსაც ქართველი ანიმატორები, რეჟისორები და სცენარისტები საქმიან გარემოში ხვდებიან ქართველ/უცხოელ პროდუსერებს და ანიმაციური სტუდიების წარმომადგენლებს.

ფესტივალის მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება, რაც გამოიხატება საფესტივალო ღონისძიებების რაოდენობის და მრავალფეროვნების ზრდაში, კერძოდ, მოხდება ვორქშოპებზე ახალი ტექნიკის დამატება, ამასთანავე, მოწვეული ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ სხვადასხვა საგანმანათლებლო სესიების ჩატარება ანიმაციით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის და შეხვედრების დაგეგმვა ავტორებსა და სტუდიების ხელმძღვანელებთან შორის, რათა დაიწყებ ანიმატორებს მიეცეთ თავიანთი იდეების განხორციელების საშუალება.

2. ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი -
 ფესტივალი ემსახურება თანამედროვე დრამატურგიის განვითარებას, ხელს უწყობს ბათუმში ახალბედა რეჟისორების, დრამატურგებისა და მსახიობების შემოქმედებით ზრდას. ფესტივალის ფარგლებში დადგმული სპექტაკლები წარმატებით იდგმება სხვადასხვა თეატრის სცენებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ფესტივალი საერთაშორისოა, ყოველწლიურად იზრდება უცხოეთიდან ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. ფესტივალს გააჩნია ახალგაზრდა ბათუმელი მოხალისეების დიდი რესურსი, რომელთა რაოდენობა ასევე იზრდება.

ფესტივალის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, შეიძლება დრამატურგები, რომლებიც დაწერენ მონო-პიესებს სპეციალურად მონო-ფესტივალისთვის. დრამატურგების მიერ დასახელდებიან რეჟისორები, რომლებიც თავის მხრივ შეარჩევენ მსახიობებს. ბათუმის სხვადასხვა ალტერნატიულ სივრცეში, თანმიმდევრულად სამი დღის განმავლობაში, გაიმართება სპექტაკლების ჩვენებები, რაც ხაზს გაუსვამს ალტერნატიული თეატრალური გარემოს აუცილებლობას და სიახლის ელემენტების შეტანას თანამედროვე თეატრალურ სამყაროში.

ფესტივალის მსვლელობისას, სხვადასხვა საიტებზე და სოციალურ ქსელებში გავრცელდება საკონკურსო აპლიკაცია. აპლიკაციის გავრცელებაში ჩაერთვებიან პროექტის მხარდამჭერებიც. დასრულდება საკონკურსო აპლიკაციების მიღება და ჟიურის მიერ გამოვლინდება ხუთი გამარჯვებული დრამატურგი. დრამატურგების მიერ შეიქმნება 5 პიესა, ბათუმში ჩამოვლენ დრამატურგების მიერ შერჩეული რეჟისორები და მსახიობები. დაიწყება პიესებზე მუშაობა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ალტერნატიულ სივრცეებში დაიწყება სპექტაკლების ჩვენება, რომელიც 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

3. პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE –
 ფესტივალი ითვალისწინებს საქართველოში ამ ეტაპზე მიტოვებული, ხოლო მსოფლიოში არტ და კრეატიული ბიზნესის წამყვანი დარგის დაზღუდვი გრაფიკის: სერიოგრაფია, ოფორტი, შოლოკოგრაფია, ლითოგრაფია, ლინოგრაფიურა აღორძინების ხელშეწყობას საქართველოში და ფესტივალის ერთ - ერთი ნაწილის ბათუმში ჩატარებას. პროექტი აქტუალური და ინოვაციურია. იგი უკვე მეოთხედ, დიდი წარმატებით ხორციელდება საქართველოში. მისი მასშტაბი ყოველწლიურად იზრდება. 2019 წლის აგვისტოში ფესტივალის ფარგლებში ქ. ბათუმში იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის ხელით ბეჭდვის მედიაში შექმნილი 70-მდე ქართველი (მათ შორის 10 ბათუმელი) და 30 უცხოელი პრინტმეიქერი მხატვრის გამოფენის მოწყობა.
 ფესტივალის ფარგლებში, ბათუმელი ახალგაზრდებისთვის დაგეგმილია ოფორტის და ლინოგრაფიურის ვორკშოფის ჩატარება, ასევე მასტერკლასები: ხელით ბეჭდვაში, თანამედროვე ხელოვნებაში, არტ და კრეატიულ ინდუსტრიაში, ულტრათანამედროვე აუდიო - ვიდეო ტექნოლოგიებსა და ვიზუალურ ხელოვნებაში, ფსიქოლოგიასა და თანამედროვე ხელოვნებაში, ტრანსცენდენტალური ხელოვნებასა და თანამედროვეობაში, ფოტოგრაფიაში, სერიოგრაფიასა და თანამედროვე ხელოვნებაში, საუნდსა და თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში. ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე ფესტივალის ვიზუალური ეფექტის გასააქტიურებლად დაგეგმილია ქუჩის გალერეის მოწყობა, ბეჭდვითი მედიის თანამედროვე ფორმებითა და საშუალებებით წარმოჩენა, მამ შორის: პრინტის თემაზე შექმნილი კოსტუმი, პერფორმანსი, ფოტოინსტალაცია, ვიდეო არტი, საუნდი, ობიექტის პრეზენტაციები.
 ნამუშევრები გახდება ტრანსცენდენტალური. ფესტივალის სერიოგრაფიის სახელოსნოში შექმნილი გრაფიკული ნამუშევრები სპეციალური მოწყობილობებისა და ტექნიკური ჯგუფის მეშვეობით რეკორდულ სიმაღლეზე გამოიფინება. აღნიშნული ფესტივალის კულმინაციური და ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი ნაწილია, რომელიც უამრავი ადამიანის, ადგილობრივი და საერთაშორისო ხელოვანის, მედიის, დამთვალიერებლების, სამთავრობო, საერთაშორისო და ბიზნეს სტრუქტურის ინტერესს წარმოადგენს. ამ სანახაობისთვის ბათუმში უამრავი ტურისტი მოიყრის თავს. დაგეგმილია ფესტივალის სავიზიტო ბარათის - ფილმის გადაღება.

4. საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF -
 ბათუმის კინოფესტივალი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებად ჩამოყალიბდა. ფესტივალი ხელს უწყობს კინემატოგრაფისტთა შორის კულტურული ურთიერთობების დამყარებას, საავტორო კინოს და ქართული კინოს პოპულარიზაციას. კინოფესტივალი ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბათუმის და აჭარის რეგიონის პოპულარიზაციაში, ხელს უწყობს ტურისტული სეზონის გაგრძელებას და ნაკლებდაქტიურ პერიოდში ტურისტების მოზიდვას, განსაკუთრებით კი შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ფესტივალს ჰყავს თავისი ერთგული მყარებელი, რომლის რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება. ფესტივალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბათუმის კულტურული ცხოვრების გააქტიურებისთვისაც - კინომოყვარულებს საშუალება აქვთ დიდ ეკრანზე იხილონ თანამედროვე კინოს სიახლეები, შეხვდნენ და დაესწრონ ცნობილი კინოხელოვანების მასტერკლასებსა და პრეზენტაციებს.
 ფესტივალის ფარგლებში განვითარდა ინდუსტრიული პლატფორმა (ინოვაციური კინოპროექტების ხელშეწყობა, ცნობილი უცხოელი პროდუსერების და რეჟისორების მიერ ჩატარებული ვორკშოფები), რაც ძალიან პოზიტიურ როლს ასრულებს ქართული კინოინდუსტრიის განვითარების საქმეში და კიდევ უფრო ზრდის ფესტივალის სტატუსს, ინტერესს მის მიმართ და ხელს შეუწყობს ბათუმის პოპულარიზაციას თანამედროვე კინოსამყაროში, როგორც კინოგადაღებისთვის საინტერესო ლოკაციას.
 კინოფესტივალის პროგრამა შედგება შემდეგი სექციებისგან:
 - მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსები; თითოეულ საკონკურსო სექციას აფასებს ხუთი ადამიანისგან შემდგარი საერთაშორისო ჟიური.
 - არასაკონკურსო სექცია: რეტროსპექტივები (დიდი რეჟისორების ფილმების კრებული), დიდოსტატთა კოლექცია (გამოჩენილი რეჟისორების უახლესი ნამუშევრები), სპეციალური ჩვენებები, ქართული პანორამა (ქართული კინოს უახლესი ნამუშევრები) და ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექცია (წლის საუკეთესო ევროპული მოკლემეტრაჟიანი ფილმები);
 - სპეციალური პროგრამა - მასტერკლასები, ვორკშოპები და ფოტოგამოფენები.
 2019 წელს მე-14 კინოფესტივალზე სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი იქნება დაახლოებით 40 სრულმეტრაჟიანი და 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მსოფლიოს 50 ქვეყნიდან.

5. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-14 საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალი 2019 წლის 7-9 ნოემბერს გაიმართება. ფესტივალის მიზანი, ავთენტური ხალხური და სასულიერო მუსიკის პოპულარიზაციაა, რომელიც ემსახურება ქართული მრავალხმიანობის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც სამემსრულებლო, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ჯგუფები ავთენტური შესრულების მანერით.

ფესტივალზე ჩამოსულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ქართულ ფოლკლორულ ტრადიციებს და ამ ტრადიციების თანამედროვე ხედვას სამეცნიერო კონფერენციებითა და ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტური ფილმების საშუალებით. ფესტივალზე ყოველწლიურად გათვალისწინებულია ქართველი რეჟისორების რამდენიმე ფილმის ჩვენება.

ფესტივალის ფარგლებში, ყოველწლიურად, სამი დღის განმავლობაში, ტარდება ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები. კონფერენციაზე განიხილება ტრადიციული კულტურის აქტუალური საკითხები.

ფესტივალის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადგილობრივი გუნდების მასტერ - კლასებით უზრუნველყოფა. მასტერ-კლასებს ატარებენ ფოლკლორის ეროვნული ცენტრის გამოცდილი ეთნომუსიკოლოგები.

ფესტივალს ეწევა 70 სტუმარი საქართველოს რეგიონებიდან და უცხოეთიდან, აქედან 40 - მდე მონაწილე იქნება უცხოელი, რომელთაც მიეცემა შესაძლებლობა, გაეცნონ ქართულ ტრადიციულ კულტურას. ფესტივალის მიმდინარეობის პროცესში უცხოელი მონაწილეები შეისწავლიან და შეასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და საგალობლებს.

6. ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „Batumi Music Fest“ - ფესტივალი 2013 წელს დააფუძნა იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ, რომელიც ყოველწლიურად, დიდი წარმატებით იმართება ქალაქ ბათუმში. 2017 წლიდან ფესტივალი იუნესკოს მაღალი პატრონაჟით მიმდინარეობს და ერთადერთი კულტურული პროექტია საქართველოში, რომელიც ამ მაღალი სტატუსით სარგებლობს, შესაბამისად, ფესტივალი ხელს უწყობს იუნესკოს ღირებულებების გავრცელებას მუსიკის საშუალებით.

ფესტივალი ევროპის ფესტივალების ასოციაციის წევრი და საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო სავიზიტო ბარათია და მისი მასშტაბი ყოველწლიურად იზრდება.

ფესტივალის ფარგლებში, ბათუმს ესტუმრებიან მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები, 2019 წელს დაგეგმილია 10 კონცერტის ჩატარება ქართველი და მოწვეული არტისტების მონაწილეობით.

კლასიკური მუსიკის ფესტივალის მთავარი აქცენტი ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობაა, რაც მას განსაკუთრებულ იდენტობასა და მნიშვნელობას სძენს. ასევე, ფესტივალის მიზანია, საქართველოში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და ზოგადად, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება სპეციალურად შემუშავებული სამუსიკო - საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით.

კლასიკური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში მოხდა ქართველი არტისტების როგორც საზღვარგარეთ პოპულარიზაცია, ასევე უცხოელი ვარსკვლავების დაინტერესება და მოწვევა საქართველოში.

ფესტივალში მონაწილე გამორჩეული მუსიკოსები მიწვეულნი იქნებიან საზღვარგარეთ საერთაშორისო პროგრამებში და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად.

ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული ტურიზმის განვითარების მიმართულებითაც. იგი ხელს უწყობს საერთაშორისო ჟურნალისტების დაინტერესებასა და ბათუმის დადებითი სახით წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე.

7. ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ - საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, 1982 წელს ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ხელოვანის, დაფუძნებულია და მისი უშუალო პატრონაჟით ხორციელდება. ფესტივალი იმთავითვე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოში.

2009 წლიდან ფესტივალი, ლიანა ისაკაძის ინიციატივითა და ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით ბათუმში აღდგა და და 2019 წელს ის მეთერთმეტედ გაიმართება. საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის 2011 წელს ლიანა ისაკაძემ შექმნა მსოფლიო კამერული ორკესტრი „ვირტუოზები“, რომელშიც გაერთიანდნენ ქართველი და ცნობილი უცხოელი მუსიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი).

2018 წლიდან, ლიანა ისაკაძის გადაწყვეტილებით, ორკესტრის შემადგენლობაში გაერთიანდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსები და ამ პერიოდიდან ორკესტრს „საქართველოს ვირტუოზები“ ეწოდა. ეს არის უნიკალური კოლექტივი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწე ქართველ მუსიკოსებს, რომლებსაც ეძლევათ შესაძლებლობა წარუდგინონ თავიანთი ხელოვნება და გაუზიარონ უცხოეთში მიღებული გამოცდილება როგორც ბათუმელებს, ასევე ქალაქის სტუმრებს.

ფესტივალი ტრადიციულად თავაზობს მსმენელს როგორც ქართული და მსოფლიო კლასიკური მეგვიდროობის, ასევე, თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ქმნილებებს, რასაც განსხვავებული ინტერპრეტაციით ასრულებენ მსოფლიოში აღიარებული სოლისტები.

8. საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ - 2019“ – ფესტივალი, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩატარდება.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა მსვლელობა ეროვნულ კოსტიუმებში, ჩატარდება კონცერტები, მასტერკლასები, სემინარები, სუვენირებისა და ეროვნული ტანსაცმელების გამოფენა. ასევე გაიმართება კონგრესი, რომელშიც მსოფლიო ფესტივალების დირექტორები და სხვადასხვა ხელოვნების დარგის დამსახურებული მოღვაწეები მიიღებენ მონაწილეობას. დაგეგმილია ვორკშოპების ჩატარება მუსიკასა და ქორეოგრაფიაში.

ფესტივალის მსვლელობისას, საქართველოსა და უცხოეთის შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ, იგეგმება მონაწილეების მოზიდვა ტურისტულად საინტერესო ქვეყნებიდან, მოხდება ახალი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება.

ფესტივალის მიზანია ქართული ეროვნული კულტურის პოპულარიზაცია უცხოეთსა და საქართველოში, ახალი შემოქმედებითი კოლექტივების აღმოჩენა, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

ფესტივალი ბათუმში სეზონის დაწყებამდე გაიმართება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასა და ტურიზმზე ორიენტირებული ობიექტების ამუშავებას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას.

ფესტივალის მასშტაბი ყოველწლიურად იზრდება. 2019 წელს ფესტივალში 20 - მდე უცხოური და 46-მდე ქართული ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო ფესტივალების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის ფესტივალების განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების გაფორმებისა და ფესტივალების დაფინანსების წესი) მოწესრიგდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბათუმის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“	ფესტივალი	1	40 000	40 000
ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი	ფესტივალი	1	20 000	20 000
პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE –	ფესტივალი	1	30 170	30 170
საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF -	ფესტივალი	1	199 950	199 950
გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-14 საერთაშორისო ფესტივალი	ფესტივალი	1	19 700	19 700
ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „Batumi Music Fest“	ფესტივალი	1	77 880	77 880
ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“	ფესტივალი	1	99 967	99 967
საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ - 2019“	ფესტივალი	1	12 000	12 000
სულ ქვეპროგრამა				499 667

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბათუმის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“			X	X
ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი			X	
პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE –			X	
საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF -			X	

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-14 საერთაშორისო ფესტივალი				X
ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „Batumi Music Fest“			X	
ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“			X	
საერთაშორისო ფესტივალი - კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ - 2019“		X		

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება	ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა	8	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ფესტივალების ფარგლებში გამართული ვორკშოპების/მასტერკლასების რაოდენობა	არანაკლებ 10 ვორკშოპი/მასტერკლასი	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 03 05

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	180 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	180 000

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ქალაქში ხელოვნების სხვასდასხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედთა განვითარების ხელშეწყობა, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა თვითრეალიზებისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას. კონკურსის წესით შეირჩევა საუკეთესო ინიციატივები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას.

პრიორიტეტი მიენიჭება ინოვაციურ, აქტუალურ და ანალიტიკურ პროექტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეებისა და ხელოვნების ახალი სახეობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ხელოვნების და ხელოვანთა თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას, ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით კულტურულ ღონისძიებებში მოქალაქეების მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მიმართ საზოგადოების ინტერესის გაზრდას. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტები უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2019 წლის განმავლობაში და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს.

ქვეპროგრამა ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩევა საუკეთესო ინიციატივები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას.

გამარჯვებულს გამოავლენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია.

კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება, მეორე ეტაპი - დოკუმენტების განხილვა. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდეგ გადაეცემა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით 09 საათიდან - 18 საათამდე, 2019 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა; ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, გ) პორტფოლიო (შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა ასეთის არსებობის შემთხვევაში) დ) სარეკომენდაციო წერილი, ე) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

ქვეპროგრამის განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის განსახილველად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება	დაფინანსებული პირი	18	10 000	180 000
სულ ქვეპროგრამა				180 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	x			

კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება	განაცხადების მიღება	x	x	x	
	განაცხადების განხილვა	x	x	x	
	დაფინანსება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მხარდაჭერილია კულტურისა და ხელოვნების სფეროში თავისუფალი ინიციატივების განხორციელება

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 18 პირის დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 18 პირზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მხარდაჭერილია კულტურისა და ხელოვნების სფეროში თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობა	9000	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	დაფინანსებულ პირთა (პროექტების) რაოდენობა	18	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 04

პროგრამის დასახელება:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და ხელოვანთა მხარდაჭერა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- ფოლკლორის ხელშეწყობა;
- თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა;
- კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა;
- ხელოვანთა ხელშეწყობა;
- ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ფოლკლორის ხელშეწყობა	4 077 900	987 900	1 030 000	1 030 000	1 030 000
თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა	1 035 800	235 800	260 000	270 000	270 000
კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა	1 831 100	461 100	450 000	460 000	460 000
ხელოვანთა ხელშეწყობა	205 000	45 000	45 000	57 500	57 500
ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	6 226 260	993 120	1 598 140	1 800 000	1 835 000
სულ პროგრამა	13 376 060	2 722 920	3 383 140	3 617 500	3 652 500

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა და გაზრდილია ბათუმელ ხელოვანთა ცნობადობა

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა და გაზრდილია ბათუმელ ხელოვანთა ცნობადობა	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	18	23	28	28	30	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ხელოვანთა რაოდენობა რომელიც მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მომაწილებას დებულობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში	15	10	10	20	20	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 04 01
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ფოლკლორის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	987 900
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	987 900

ქვეპროგრამის მიზანი:

ქართული ხალხური ფოლკლორული ანსამბლების პოპულარიზაცია (როგორც ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ) განვითარება და მათი ხელშეწყობა. ფოლკლორის დარგში მომუშავე ადამიანების წახალისება მათი ნიჭის გამოვლენის მახსიმალო ხელშეწყობა და განვითარება. რეპერტუარისა და კოლექტივების შემადგენლობის განახლება და თანამედროვე სტანდარტებზე მორგება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბათუმში ქართული ხალხური ფოლკლორული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა. ქართული ფოლკლორი ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია, ქართული მრავალხმიანობა იუნესკოს არამატერიალურ ძეგლადაა მიჩნეული. უნიკალურობით გამოირჩევა აჭარის რეგიონის ქორეოგრაფია. ბათუმის კულტურის ცენტრთან ამჟამად 3 ფოლკლორული ანსამბლი მოღვაწეობს: 1) ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი ბათუმი და ქორეოგრაფიული სტუდია; 2) ქალთა ვოკალური ანსამბლი; 3) ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. სამი ანსამბლი შედგება 97 მსახიობისგან, მუსიკოსისგან და ქორეოგრაფისგან. ანსამბლები მონაწილეობენ ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ მრავალ ღონისძიებაში, ყოველ წლიურად ანსამბლები ანახლებენ რეპერტუარს და მსახიობებს, ამისათვის ანსამბლებს ესაჭიროებათ მუდმივი განვითარება - ახალი კოსტიუმების შეკერვა და არსებულის განახლება; მუსიკოსებისთვის ინსტრუმენტების შექმნა; სარეპეტიციო დარბაზით უზრუნველყოფა და ქორეოგრაფიული და აკუსტიკური სტანდარტებისთვის დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნა; სარეკლამო მასალის შექმნა (ვიდეო რგოლი, სარეკლამო ბუკლეტები) და სარეკლამო კამპანიის განხორციელება. 2019 წელს დაგეგმილია არანაკლებ 10 კონცერტის ჩატარება საქართველოს მასშტაბით და 1 გასტროლი საზღვარგარეთ.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფოლკლორის ხელშეწყობა				802 800

ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ -ის შრომის ანაზღაურება		66	9 282	612 600
ქორეოგრაფიული სტუდიის შრომის ანაზღაურება		4	6 720	26 880
ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი-ის შრომის ანაზღაურება		12	5 450	65 400
ქალთა ვოკალური ანსამბლი-ის შრომის ანაზღაურება		18	5 440	97 920
სასცენო-საცეკვაო კოსტიუმების შეყიდვა (ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“, ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი)				10 000
ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“,		60		8 800
ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი)		12		1 200
საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება				147 100
ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლი უკრაინაში		45	2 688,89	121 000
ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლი თბილისში	მივლინება	1	6 000,00	6 000
საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მიმდგენილ ღონისძიებებზე (მეზობელ ქვეყნებში) ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლი)		44	456,82	20 100
საიუბილეო საღამოს ორგანიზება (ქორეოგრაფიული ანსამბლის საიუბილეო, ენვერ ხაბაძის 95 წლისადმი და თეიმურაზ ბოლქვას 70 წლისადმი მიმდგენილი საიუბილეო საღამო)		2		24 000
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება		2	2000	4 000
მუსიკალური ინტრუმენტის (დოლის) შეძენა		2	2000	4 000
სულ ქვეპროგრამა				987 900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ფოლკლორის ხელშეწყობა	x	x	x	x

სასცენო-საცეკვაო კოსტიუმების შეყიდვა (ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“, ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი)	x			
საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება		x		
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება	x		x	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული ქართული ხალხური ფოლკლორული ანსამბლების ცნობადობა

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული ქართული ხალხური ფოლკლორული ანსამბლების ცნობადობა	ჩატარებული კონცერტები საქართველოში	10	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი
	ჩატარებული კონცერტები უცხოეთში	1	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 04 02
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	235 800
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	235 800

ქვეპროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი კოლექტივების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. ცენტრში არსებულმა თანამედროვე მუსიკალურმა კოლექტივებმა შექმნა თანამედროვე სტანდარტებისა და ღირებულებების მუსიკალური ნაწარმოებები; მოიძიონ და გამოავლინონ ახალგაზრდა, ნიჭიერი და პროფესიონალი შემსრულებლები, რომელთა მეშვეობით გაიზრდება მუსიკალური კოლექტივების საშემსრულებლო ხარისხი: ასევე სფეროში მოღვაწე მუსიკოსებთან თუ კომპოზიტორებთან თანამშრომლობა ახალი თანამედროვე ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად; ასევე ფართო მაყურებლის წინაშე წარსდგენა და კონცერტებში, ფესტივალებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმის კულტურის ცენტრთან ამაჟამად 2 თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი ანსამბლი მოღვაწეობს - 1) ბათუმის ჯაზ ბიგ ბენდი და ჯგუფი „GEO PLANET“. ორი ანსამბლი შედგება 28 მუსიკოსისგან. აღნიშნულ ანსამბლებს მრავალ ღონისძიებასა, კონცერტსა თუ ფესტივალებში აქვთ მიღებული მონაწილეობა. ყოველ წელიწად ანსამბლები ანახლებენ რეპერტუარს და მომღერლებს, ამისათვის ანსამბლებს ესაჭიროებათ მუდმივი განვითარება მუსიკოსებისთვის ინსტრუმენტების შეძენა და ტექნიკური ბაზა; სარეპეტიციო დარბაზით უზრუნველყოფა და აკუსტიკური სტანდარტებისთვის დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნა; სარეკლამო მასალის შექმნა (ვიდეო რგოლი, სარეკლამო ბუკლეტები) და სარეკლამო კამპანიის განხორციელება. თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია შესაბამისი ჟანრის მუსიკის განვითარებისათვის, კოლექტივების პოპულარიზაცია და მათი გაყვანა ფესტივალებზე როგორც საქართველოს მასშტაბით, აგრეთვე საზღვრებს გარეთ. უნდა დაიგეგმოს მრავალი საკონცერტო პროგრამები აღნიშნული ანსამბლების მონაწილეობით, რაც შედგომში მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონის პოპულარიზაციის და ეკონომიკური შედეგების მიღების კუთხითაც. აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება არის სტიმული მომავალი ახალგაზრდა თაობის შესაბამისი ჟანრის მუსიკოსების წახალისებისათვის, რაც საწინდარია შემდგომი კულტურის ცხოვრების განვითარებისათვის და ამაღლებისათვის.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება		28	6 636	185 800
ჯაზ-ბიგ ბენდი	წევრების რაოდენობა	22	6 836	150 400

ჯგუფი „GEO PLANET“	წევრების რაოდენობა	6	5 900	35 400
გასტროლების დაფინანსება				50 000
ჯაზ-ბიგ ბენდის გასატროლი გერმანია	წევრების რაოდენობა	22	2 273	50000
სულ ქვეპროგრამა				235 800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ჯაზ-ბიგ ბენდი	x	x	x	x
ჯგუფი „GEO PLANET“	x	x	x	x
ჯაზ-ბიგ ბენდის გასატროლი გერმანია		x		

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი კოლექტივების ცნობადობა,

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი კოლექტივების ცნობადობა,	საქართველოში ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	5	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი
	ქვეყნის გარეთ ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	1	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 04 03

ქვეპროგრამის დასახელება:

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	461 100
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	461 100

ქვეპროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული კლასიკური მუსიკის შემსრულებელი კოლექტივების მხარდაჭრა და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმის კულტურის ცენტრში ამჟამად 3 კლასიკური მუსიკის შემსრულებელი კოლექტივი მოღვაწეობს: 1) ქალთა კამერული გუნდი; 2) სასულე ორკესტრი; 3) სიმებიანი კვარტეტი. სამი კოლექტივი შედგება 53 მუსიკოსისაგან. ქალთა კამერული გუნდი თავის სფეროში ერთ-ერთი იშვიათი კოლექტივია, რომელიც მუშაობს, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი წარმატებული კომპოზიტორების შექმნილი ურთულესი ნაწარმოებებით. კამერულ გუნდს მიღებული აქვთ მონაწილეობა მრავალ საგუნდო ფესტივალსა თუ კონკურსში, სადაც დიდი აღიარებები აქვთ მოპოვებული. ქალთა კამერული გუნდი მოთხოვნადი კოლექტივია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. სასულე ორკესტრი მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული მუსიკოსებით დაკომპლექტებული ორკესტრია, რომელიც ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული. იგი მონაწილეობს ღებულობს ყველა სახალხო, სახელმწიფო, ხსოვნის, რელიგიურ თუ ღირსშესანიშნავი დღეების აღმნიშვნელ ღონისძიებაში. სიმებიანი კვარტეტი კლასიკური მუსიკის საშემსრულებლო ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კოლექტივია, რომელიც ხშირად მონაწილეობს ქალაქის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორცაა გამოფენები, საზეიმო გახსნები, წიგნების თუ სხვადასხვა პრეზენტაციები. კვარტეტი დაკომპლექტებულია მაღალი საშემსრულებლო დონის შემსრულებლებით, რომლებიც ხშირად აღამაზებენ ქალაქში ჩატარებულ სხვადასხვა მაღალი რანგის ღონისძიებას. ყოველწლიურად კოლექტივები ანახლებენ რეპერტუარს და მომღერლებს. 2019 წელს დაგეგმილია არანაკლებ 10 კონცერტის ჩატარება საქართველოს მასშტაბით და 1 გასტროლი საზღვარგარეთ.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება				319 400
ქალთა კამერული გუნდის წევრების შრომის ანაზღაურება		28	5 833	163 320

სიმებიანი კვარტეტს წევრების შრომის ანაზღაურება		6	6 240	37 440
სასულე ორკესტრს წევრების შრომის ანაზღაურება		20	5 772	115 440
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები		2	1 600	3 200
სასცენო კოსტუმების შეძენა		28	286	8 000
საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება				88 300
ქალთა კამერული გუნდის გასტროლი საქართველოს მასშტაბით		28	339	9 500
ქალთა კამერული გუნდი (ისრაელი)		28	2 814	78 800
საიუბილეო საღამოს ორგანიზება (იოსებ კეჭაყმაძის 80 წლის საიუბილეო საღამო)				5 000
კლასიკური მუსიკის განვითარება				39 200
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება		1	1 200	1 200
კომპიუტერი		1	1 200	1 200
სულ ქვეპროგრამა				461 100

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	x	x	x	x
სასცენო კოსტუმების შეძენა	x	x		
საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება	x	x		
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება	x			

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის შემსრულებელი ანსამბლების ცნობადობა

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის შემსრულებელი ანსამბლების ცნობადობა	საქართველოში ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	5	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი
	საზღვარგარეთ ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	1	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 04 04

ქვეპროგრამის დასახელება:

ხელოვანთა ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	45 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	45 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქ. ბათუმში მოღვაწე შემოქმედთა პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა, ხელოვანთა დაფასება და სტიმულირება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ხელოვანთა პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მათი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელ ხელოვანთა პროფესიულ ზრდას, გამოცდილების გაღრმავებას, ქართული კულტურის საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენას, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ხელოვანებს შორის კონტაქტების დამყარებას, ქართულ და უცხოურ სახელოვნებო საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ხელოვანთა დაფასებასა და სტიმულირებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია:

1. საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილე პირთა დაფინანსება - გათვალისწინებულია იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მოღვაწეობენ ბათუმში და სურთ მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო ღონისძიებებში (მათ შორის კონკურსებში, ფესტივალებში, გამოფენებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სხვა). ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.

კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული ბენეფიციარი მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2 500 ლარისა, ერთჯერადი გასაცემლის სახით, მგზავრობის, ვიზის, დაზღვევის, ცხოვრებისა და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაწესებულ სარეგისტრაციო ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსები მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება, მეორე ეტაპი - დოკუმენტების განხილვა. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდეგ გადაეცემა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. კონკურსების მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება.

შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

კომისია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 20 დღის ვადაში.

დაფინანსების მისაღებად განმცხადებელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

1. განაცხადი;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა CD სახით;
6. ოფიციალური მოწვევა საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად;
7. სარეკომენდაციო წერილი ორგანიზაციის ან კერძო პირისგან.

ღონისძიების ფარგლებში, ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. გამარჯვებულს გამოავლენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია.

ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის განსახილველად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტით.

2. წლის ხელოვანი - წლის ბოლოს გაიმართება სახეიმო მიღება. განხორციელდება კულტურის სფეროს წარმომადგენელთა დაჯილდოება სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით. ნომინანტად დასახელებულ პირს განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქალაქის/ქვეყნის წარმოჩენასა და კულტურის სფეროს განვითარებაში. ნომინანტებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. ნომინაციები, ნომინანტთა გამოვლენის წესი და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება	დაფინანსებული პირი	10	2 500	25 000
წლის ხელოვანი	ღონისძიება	1	20 000	20 000
სულ ქვეპროგრამა				45 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება		1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება	კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	X			
	განაცხადების მიღება	X	X	X	X
	განაცხადების განხილვა	X	X	X	X
	დაფინანსება	X	X	X	X
წლის ხელოვანი				X	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ხელშეწყობილია ბათუმში მოღვაწე ხელოვანების მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში

დამატებითი ინფორმაცია

1. ღონისძიებებით: „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ გათვალისწინებულ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 10 პირის დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 10 პირზე მეტის დაფინანსება.
2. ღონისძიების „წლის ხელოვანი“ ფარგლებში შეირჩევა 10 ნომინანტი, რომელთაც ფულადი ჯილდო გადაეცემათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია ბათუმში მოღვაწე ხელოვანების მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	10	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ჯილდოზე ნომინირებულ ხელოვანთა რაოდენობა	10	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 04 05

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	856 700
სხვა წყარო	136 420
სულ ქვეპროგრამა	993 120

ქვეპროგრამის მიზანი:

საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება

- საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;
- საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;
- საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;
- საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება

- ახალგაზრდული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.

(ჩატარდება 75 კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიება.

- ღონისძიებების ნუსხა და საკლუბო შეხვედრების ჩამონათვალი წარმოდგენილი იქნება ცალკე დანართის სახით.

ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობა - ახალგაზრდების წიგნთან დაახლოების და მკითხველთა მოზიდვის მიზნით ვგეგმავთ თანამედროვე სალიტერატურო სივრცეების მოწყობას, სადაც განთავსდება წიგნისა და მარკების მუზეუმი, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზი, კინო-ჩვენებისა და კლუბური შეხვედრების ადგილები. ასევე დგება მუდმივად მზარდი ფონდის განთავსების პრობლემა, რომელსაც სარდაფში გამოთავისუფლებული სივრცე შეითავსებს.

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა
 ▪ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რუკები, აუდიო-ვიდეო და ფოტო მასალები.
 (ფონდი გაიზარდება 10000 ერთეულით)

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-ადმინისტრირება				832 692
შრომის ანაზღაურება		77		668 645
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება		4		57 955
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				106 092
კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები		75,00	65,33	4 900
ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობა				49 000
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება				106 528
ჟურნალ-გაზეთების შექმნა		7000	1,43	10 000
წიგნების შექმნა		3000	15	45 000
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები		8	1 000	8 000
ვიდეო-თვალის შექმნა-მონტაჟი, კიბის და პანდუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები			#ДЕЛ/0!	43 528
სულ ქვეპროგრამა				993 120

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-ადმინისტრირება	x	x	x	x
კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები	x	x	x	x
ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობა		x	x	
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.	საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობის ზრდა	10000	რაოდენობა	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი
	რეგისტრირებულ მკითხველთა რაოდენობა	7000	რაოდენობა	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი
	საბიბლიოთეკო ფონდის ბეჭდური გამოცემებით სარგებლობის რაოდენობა	370000	რაოდენობა	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი
	საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული რესურსებით (აუდიო-ვიდეო მასალა და ინტერნეტი) სარგებლობის რაოდენობა	20000	რაოდენობა	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი
	საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგების რაოდენობის ზრდა	100000	რაოდენობა	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი
	საბიბლიოთეკო ფონდის წიგნების და ფოტოების გაციფრების რაოდენობის ზრდა	500	რაოდენობა	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იმ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი

	ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები	75	რაოდენობა	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	მონიტორინგი
--	---	----	-----------	---	------------------	---	-------------

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 05
-------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2019-2022 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია. ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. კულტურული მემკვიდრეობა სულიერი და მატერიალური განვითარების მატთანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2019 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობების (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების) რეაბილიტაციას.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	2 906 107	784 819	754 590	965 595	401 103
სულ პროგრამა	2 906 107	784 819	754 590	965 595	401 103

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
	2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					
შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	სარეაბილიტაციო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთო რაოდენობაში	10	8	6	4	2	%	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 05 01

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	784 819
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	784 819

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის დასახულება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2019 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაციასა და შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია	ერთეული	1	374 070	374 070
თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია	ერთეული	1	400 000	400 000
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა	პროექტი	1	10 749	10 749
სულ ქვეპროგრამა				784 819

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია	x	x	x	x
თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია			x	x
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

დამატებითი ინფორმაცია

ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2018-2019 წ.წ.) შეადგენს 487 576 ლარს.

ქ. ბათუმში, თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2019-2020 წ.წ.) შეადგენს 965 595 ლარს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	2	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06

პროგრამის დასახელება:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

ქალაქ ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა, ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სწრაფად ცვლადებად გარემომ, ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციის განვითარებამ, მნიშვნელოვანი კონკურენციის წინაშე დააყენა ადამიანი, ამიტომ, აქტუალური გახდა კითხვა, თუ რა სახის განათლება უნდა მიიღონ ადამიანებმა, რომ იგი მომავალში გამოიყენონ. კვლევები ადასტურებს, რომ დღითიდღე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარებისა და პიროვნულ განვითარებას. გამომდინარე აქედან, ფორმალური განათლების გარდა, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურებები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ ხორციელდება, რომელიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან. ადგილობრივი თვითმმართველობა კი ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებული ორგანოა.

„საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით, ახალგაზრდის ასაკი განსაზღვრულია 14 დან 29 წლამდე. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა განხორციელდეს ასაკობრივი განვითარების თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობები და პირობები ჰქონდეთ ახალგაზრდებს, რომლებიც იმყოფებიან პიროვნული ჩამოყალიბების პერიოდში - 14 დან 18 წლამდე, ამ ასაკის ახალგაზრდების ფსიქოლოგიური განვითარების მახასიათებლებია ინტერესის გამოვლენა იმ ცოდნის მიმართ, რაც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, აქვთ შემოქმედებითობის მოთხოვნილება, ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი, გააჩნიათ კამათის, თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. უყალიბდებათ თვითშეფასება, მსოფლმხედველობა, ლოგიკური აზროვნება და წარმოსახვის უნარი.

18 დან 24 წლის ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი არის განათლების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტერგაციას შრომის ბაზარზე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ეს ასაკობრივი პერიოდი ასევე დაკავშირებულია ასოციალური ქცევის, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემების, წარუმატებელი კარიერული არჩევანის, სიღარიბისა და სხვა რისკებთან. საზოგადოებაში ახალგაზრდების ინტერგაცია დამოკიდებულია მასზე, თუ როგორ არის დაცული ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები სხვადასხვა სექტორებში: დასაქმება, განათლება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა. 25 წელს ზემოთ ახალგაზრდების ძირითადი მიზანია, რომ იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი წევრები, მოხადინონ შრომის ბაზარზე მათი მდგომარეობის სტაბილიზაცია და დაიწყონ ოჯახური ცხოვრება. სწორედ აღნიშნული მოცემულობების საფუძველზე, 2018-2021 წლების "ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში", ხაზგასმით არის აღნიშნული რომ ახალგაზრდების განვითარება მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს.

როდესაც ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მათი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, ახალგაზრდების ინტერესი და მოტივაცია, მათი სოციალური პასუხისმგებლობაც თანდათანობით იზრდება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 14 დან 29 წლამდე 39 000 ახალგაზრდაა რეგისტრირებული. მათ განვითარებაზე ზრუნვა კი პირდაპირ აისახება ქალაქის მომავალ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობისთვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში 2019 წელს განხორციელდება არაფორმალური განათლების გავრცელების ხელშეწყობი ღონისძიებები, შემოქმედებითი, კულტურული, სამოქალაქო განათლების, სოციალური უნარების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ მიმართული პროგრამები, პროვნიული განვითარების, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობი აქტივობები. უზრუნველყოფილი იქნება წიგნიერების განვითარების შესაძლებლობები, მოეწეობა ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენციული ღონისძიებები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდისთვის უზრუნველყოფილი იქნება ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ახალგაზრდებსა და მოზარდებს ექნებათ შესაძლებლობა შეიკრიბონ უსაფრთხო სივრცეში, იმსჯელონ აქტუალურ და მათთვის საინტერესო თემებზე, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, კულტურული მისწრაფებები, გაუზიარონ თანატოლებს თავიანთი ინტერესები. წარმოადგინონ ინიციატივები და მიიღონ ფინანსური მხარდაჭრა მათი განხორციელებისთვის.

პროგრამის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

1. ახალგაზრდული ცენტრი;
2. ინტელექტუალური და შემოქმედებითი პროექტების ორგანიზება და მხარდაჭერა.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ახალგაზრდული ცენტრი	486 100	107 100	115 000	126 000	138 000
ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	299 500	64 500	71 000	78 000	86 000
სულ პროგრამა	785 600	171 600	186 000	204 000	224 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია ახალგაზრდებისა და მოზარდების განვითარება

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე შექმნილი კლუბების რაოდენობა		4	5	5	5	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	
ახალგაზრდების განვითარებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების სწრებადობის რაოდენობა	200	3000	5000	6000	7000	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალგაზრდული ცენტრი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	107 100
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	107 100

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობისთვის არაფორმალური განათლების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისა და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდობის თავშეყრის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობისა და ახალგაზრდობის განვითარების ალტერნატიული სივრცის უზრუნველყოფა, მოზარდებისა და ახალგაზრდობის იდეების რეალიზება და ინიციატივების მხარდაჭერა, ახალგაზრდობის დამოუკიდებელი მოქმედების ხელშეწყობა და წახალისება, თემის განვითარებაში ახალგაზრდობის წვლილის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობის ჰქონდეთ არაფორმალური, ალტერნატიული შეკრების ადგილი, სადაც თავისუფლად იმსჯელებენ და განიხილია სხვადასხვა საკითხები, ასევე მიიღებენ მათი განვითარებისთვის საჭირო სერვისებს. ამისთვის, ახალგაზრდული სივრცის არსებობა ერთ-ერთი მთავარი პირობაა. რადგან სწორედ ახალგაზრდული ცენტრი ქმნის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს, ახალგაზრდობთან და ახალგაზრდობისთვის რეგულარული საგანმანათლებლო საქმიანობის მეშვეობით, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდობის განვითარებას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია მოზარდებისა და ახალგაზრდობის იდეების რეალიზება და ინიციატივების მხარდაჭერა, ახალგაზრდობის დამოუკიდებელი მოქმედების ხელშეწყობა და წახალისება, თემის განვითარებაში ახალგაზრდობის წვლილის გაზრდა.

ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ცენტრი“ ყველაზე მეტად არის მორგებული ახალგაზრდობის არაფორმალური კუთხით განვითარებაზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

1. ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა - აღნიშნული მუხლის ფარგლებში განხორციელდება ცენტრის სანიტარიულ-ჰიგიენური მოვლა-პატრონობა; ყოველთვიურად წარმოშობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა; ცენტრის ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფა, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა; ელექტრომექანიკოსისა და სანტექნიკოსის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა.
2. ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა - აღნიშნული მუხლის ფარგლებში განხორციელდება ცენტრისათვის ინვენტარის (საკეცი მაგიდები და სკამები, პორტატული კომპიუტერი, მიკროფონის სამაგიდე სადგამი,) შექმნა და სხვა.

3. ახალგაზრდული ცენტრის ბრენდირება, ახალგაზრდების ინფორმირებულობა - ახალგაზრდულ ცენტრში, ახალგაზრდებისა და მოზარდების ჩართულობისთვის, აუცილებელია სარეკლამო მასალების დამზადება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული ცენტრის პროგრამის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ახალგაზრდული ცენტრის პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ გაზრდის ახალგაზრდული ცენტრის პროგრამებით დაინტერესებული მოზარდებისა და ახალგაზრდების რიცხვს. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტის ფარგლებში დამზადდება საინფორმაციო ფლაერები, წიგნის საინშენები, სილიკონის სამაჯურები, კალმები, ბლოკნოტები, მაისურები, სტიკერები, წლის შემაჯამებელი ვიდეორგოლი და სხვ. ყველა ჩამოთვლილ რეკვიზიტებზე აღნიშნული იქნება ახალგაზრდული ცენტრის ლოგო.

ყველასათვის ცნობილია, რომ ინფორმირებულობა ზრდის მონაწილეობისა და ჩართულობის სიხშირესა და დონეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ 2018 წელს ჩატარდა „ახალგაზრდების მდგომარეობის და საჭიროებების კვლევა ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში“. კვლევა უახლესია და ადასტურებს, რომ ინფორმირების პრობლემა აბრკოლებს ჩართულობის რაოდენობრივ შედეგს. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, იმისთვის, რომ ახალგაზრდული ცენტრის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და პროგრამები მისწავდომი იყოს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისა და მოზარდისთვის, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა. დაგეგმილი აქტივობების შესახებ უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის გავრცელება ფეისბუქის მეშვეობით, კერძოდ კი ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდზე განხორციელდება ინფორმაციის გავრცელების სერვისის შესყიდვა, ამასთანავე, ახალგაზრდებთან კომუნიკაციისა და სატელეფონო კავშირის დამყარებისთვის ცენტრის თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება უფასო სასაუბრო ლიმიტი.

4. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა - დღეისათვის, სკოლა, უნივერსიტეტი, ოჯახი და მოზარდებისა და ახალგაზრდების ირგვლივ არსებული გარემო ვერ იძლევა ისეთი სახის უნარების განვითარების შესაძლებლობას ახალგაზრდებში, რაც საჭიროა სიცოცხლის მანძილზე არსებული გამოწვევებისთვის, თვითდაპყვიდებისთვის, სოციალურ ინტეგრირებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემას არ შეუძლია ადამიანის სრულყოფილი მომზადება, სახელმწიფო პასუხისმგებელი და ვალდებულია სხვადასხვა მიდგომებით იზრუნოს ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობაზე, ერთ-ერთი საუკეთესო და გამოცდილი მიდგომა, ასეთ შემთხვევაში სწორედ არაფორმალური განათლების გავრცელებაზე გადის. შესაბამისად, 2019 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების პროგრამების მიწოდებას ადგილობრივი მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ცოდნისა და უნარების დაუფლებისთვის ჩატარდება ტრენინგები, სემინარები, ლექციები, ვორკშოპები, საინფორმაციო შეხვედრები. მათ შორის, სოციალური მეწარმეობისა და მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით. სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა - იმის ფონზე რომ ქვეყანაში არსებობს დასაქმებისა და სხვადასხვა სოციალური სახის პრობლემები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უზრუნველყოფილი იქნას ახალგაზრდების ინფორმირებულობა და დაინტერესების გაღვივება სოციალური მეწარმეობისადმი, რომლის ფარგლებშიც, ჩატარდება ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები სოციალური მეწარმეობისა და საწარმოების საქმიანობაში გათვითცნობიერებისთვის.

ფსიქოლოგის საათი - მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით ასაკობრივი განვითარების შესაბამისად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რათა მათ წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები მარტივად იყოს დაძლეული, გარდა ამისა როგორც ვიცით მოზარდობის, გარდამავალი ასაკის პერიოდი განსაკუთრებულად რისკის შემცველი და პრობლემურია, გარდა ამისა, გახშირდა არასრულწლოვანთა შორის ძალადობის ფაქტები, სამწუხაროდ ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ დრომდე არ აქვთ მოზარდისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ღონისძიების „ფსიქოლოგის საათის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მოზარდებთან და ახალგაზრდებთან ჩატარდება საინფორმაციო ტრენინგები: ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავების, პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტისა და ემოციის მართვის მზაობის განვითარებისთვის, უცხო გარემოში ადაპტირებისა და კომპლექსების დაძლევის უნარების განმტკიცებისთვის. ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის და ზალადობის პრევენციისთვის. ამისთვის, ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრში 7 თვის მანძილზე, თვეში ორჯერ ჩატარდება სულ 14 შეხვედრა პროფესიონალ და გამოცდილ პრაქტიკოს ფსიქოლოგებთან.

5. ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა - როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ აქტიურობა და სხვადასხვა ღონისძიებებში ხშირი ჩართულობა ყოველთვის არ გულისხმობს რეალურ მონაწილეობას. ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობას გააჩნია თავისი დონეები, ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის დასადგენად, საუკეთესო მოდელია როგორც პარტის მონაწილეობის რეალური კიბე. „მონაწილეობის კიბეზე“ პირველი სამი ეტაპი არის მანიპულირება, დეკორაცია და სიმბოლოზიმი. მანიპულირების დროს მოზარდები/ახალგაზრდები ასრულებენ დავალებას, მაგრამ არ ესმით, რას და რატომ აკეთებენ. როდესაც მოზარდები/ახალგაზრდები გაუცნობიერებლად მონაწილეობენ უფროსების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მათ არ ესმით, რა ფუნქცია

აკისრიათ და რა არის პრობლემა. სიმბოლოზობის საფეხურზე მოზარდს/ახალგაზრდას ევითხებიან აზრს, მაგრამ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა სიმბოლოზურ ხასიათს ატარებს. მონაწილეობის კიბეზე ყველაზე პროგრესული საფეხურებია მე-7 და მე-8 საფეხურები - „უფროსების მიერ ინიცირებული“ მონაწილეობა და „ბავშვის მიერ ინიცირებული და მართული“ პროექტები.

საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის“ მიხედვით, კითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?“, გამოკითხული აუდიტორიის 27,2%-სათვის ყველაზე მისაღები ფორმა არის, როდესაც ახალგაზრდებს აქვთ იდეა და იმის შესაძლებლობა, რომ შექმნან პროექტი და დაპატიჟონ სხვადასხვა სამთავრობო და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლები, რათა ისინიც მათთან ერთად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე ჩართულობის მეშვიდე საფეხურიც - „ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა ახალგაზრდების მიერ“ 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, მიზანშეწონილად მივიჩნით ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. რაც გაზრდის გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდებში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის გაზრდა. ქვეპროგრამის „ახალგაზრდების თვალსაზრისით ინიციატივების დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩევა ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი საინიციატივო პროექტები და დაფინანსდება.

პრიორიტეტი მიენიჭება ინოვაციურ და კრეატიულ პროექტებს შემდეგი მიმართულებით:
ა) განათლებისა და კულტურის ხელშეწყობა / მხარდაჭერა / წახალისება / სტიმულირება;
ბ) სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პოპულარიზაცია;
გ) ახალგაზრდობის სფერო (ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით);
დ) სოციალური მეწარმეობის (ახალგაზრდა მეწარმეთა) ხელშეწყობა (სოციალურად დაუცველთა, შშმ პირთა, უსინათლოთა დასაქმება, ახალგაზრდა გამომგონებელთა ხელშეწყობა);

ე) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მათ შორის, სპორტული ტურიზმი (ფეხით მოგზაურობა, სამთო-საწყლოსნო (ტივი, ნავი, კანოე, კაიაკი, ბაიადარი, ჯომარდობა), სამთო-სათხილამურო, ველოსიპედით, ასევე, აგროტურიზმი, ბიზნესტურიზმი (მ.შ. ტურისტული ბიზნეს ფორუმი), გამოფენა - გაყიდვები (ხალხური რეწვის ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების და სხვა);

ვ) ინტელექტუალურ - საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისება (პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა, ახალგაზრდა მეცნიერები, ეკოლოგია და გარემოს დაცვა და ა.შ.);

ზ) და სხვა პროექტები (საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობების წახალისება, სტიმულირება, ხელშეწყობა და მხარდაჭერა). ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 (სამი თასი) ლარს. განაცხადების მიღება იწარმოებს ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ბიუჯეტის ამოწურვამდე.

ქვეპროგრამის განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის განსახილველად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტით.

6. კლუბების განვითარების ხელშეწყობა - სხვადასხვა მიმართულების თემატური კლუბების მუშაობა ყველაზე გამართლებული პლატფორმა და მეთოდია ახალგაზრდებისა და მოზარდების ჩართულობისთვის. კლუბები იძლევა საერთო ინტერესების ახალგაზრდების შეკრებისა და გაერთიანების საშუალებას, კლუბის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები გაცილებით ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებულია. ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა და განვითარებისთვის, ასევე მსჯელობისა და ობიექტური აზროვნების განვითარებისთვის, სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებისა და გათავისების, ხელოვნების დარგებთან დაახლოებისთვის და ესთეტიკური განვითარების მიზნით, ამოქმედდება: ლიტერატურული, ხელოვნების, კინო, ეკოლოგიის კლუბები.

- ლიტერატურის კლუბი - ლიტერატურის კლუბში ჩატარდება წიგნების განხილვები, მოწვეული სპეციალისტები ახალგაზრდებთან ერთად განიხილავენ შერჩეულ წიგნებს; გამოცხადდება კითხვის კლუბში მკითხველთა რეგისტრაცია. შერჩეული იქნება 12 წიგნი, რომელთა სია ახალგაზრდებს 6 თვით ადრე მიეწოდებათ, შედგება თითოეული მათგანის განხილვის გრაფიკი, რაც ასევე წინასწარ ეცნობებათ დაინტერესებულ ახალგაზრდებს. განხილვებს გაუძღვება კომპეტენტური სპეციალისტები. ჩატარდება შემაჯამებელი ლიტერატურული ვიქტორინა, წაკითხული წიგნებიდან შედგენილ ტესტებში. გამარჯვებულები წახალისდებიან სხვადასხვა პრიზებით.

<p>კინოკლუბი - მოეწყობა კინოჩვენებები, მოწვეული კინომცოდნეები ახალგაზრდებთან ერთად განიხილავენ ფილმებს, ახალგაზრდებს, რომლებსაც სწრებადობის მაღალი მაჩვენებელი ექნებათ წახალისდებიან კინოთეატრის კინოპრემიერების ბილეთებით.</p> <p>- ხელოვნების კლუბი - თეატრალური ხელოვნებითა და მსახიობობით დაინტერესებული მოზარდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით დაიდგება სპექტაკლი.</p> <p>- ეკოლოგიის კლუბი - ეკოლოგიასთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავება, დამოკიდებულების შეცვლა და უნარების გამოუმუშავება ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნების, დაცვისა და ბუნებრივ გარემოში ცხოვრების შესახებ. მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმირებულობა იმის შესახებ თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნონ და დაიცვან ბუნებრივი გარემო. ჩატრადება ტრენინგები, ლაშქრობები, თანატოლგანმანათლებელთა კამპანიები, დასუფთავებისა და გამწვანების აქციები;</p>
<p>7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა - ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში იშვიათად თუ შევნიშნავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა ასეთი რეალობის მიზეზი და პრობლემა მდგომარეობს იმაში რომ გარემო პირობები სათანადოდ არ არის ადაპტირებული იმისთვის, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს დაგეგმილი პროექტები. გარდა ამისა, საზოგადოება ჯერ კიდევ მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო მოდელით უყურებს შეზღუდულ შესაძლებლობებს, ასეთი მიდგომები და სტერეოტიპები კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს ართმევს იმის დამოუკიდებლობისა და მომავალში დასაქმების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია რომ საზოგადოების ინფორმირების პროცესი გაგრძელდეს და მათი თვითსეგნება ამაღლდეს ისე რომ სამედიცინო მოდელთან ერთად ყურადღებას ამახვილებდნენ სოციალურ მოდელზე. ღონისძიების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში, გაიზრდება ახალგაზრდულ პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობისა და ჩართვის ხელმისაწვდომობა . უზრუნველყოფილი იქნება ღონისძიებებში ჩართულობისთვის ტრანსპორტირება და სხვა სახის. ჩატრადება ქესტური ენის შემსწავლელი გაკვეთილები. მოეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებთან დაკავშირებულ სტიკემებთან და სტერეოტიპებთან ბრძოლის საინფორმაციო კამპანიები, წინა პლანზე წამოიწვევას სოციალური მოდელის დანერგვა. გარდა ამისა, დაგეგმილ ღონისძიებებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობისთვის მათი სურვილიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები.</p> <p>ცნობადობის ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით მოეწყობა ღონისძიებები :</p> <p>ა) 2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე;</p> <p>ბ) 21 მარტი - დაუნის სინდომის მსოფლიო დღე;</p> <p>დ) 3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე .</p>
<p>8. აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებები - აქტიური ახალგაზრდების მოტივაციის შენარჩუნებისა და სხვა ახალგაზრდების დაინტერესებისა და პროგრამებში ჩართულობის გაზრდისთვის, ახალგაზრდულ პროგრამებში აქტიურად ჩართული მონაწილეებისთვის მოეწყობა ლაშქრობები, სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები.</p>
<p>9. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მსოფლიო ყოველ წელს, 12 აგვისტოს აღნიშნავს. დღესასწაული, რომელიც მოწოდებულია, პოპულარიზება გაუწიოს ოჯახურ ფასეულობებს, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილებას, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დააწესა და ყოველ წელს სპეციალური თემა აქვს, რომლის ირგვლივაც იგეგმება ღონისძიებები და აქტივობები. 2019 წელს ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის გამოცხადებული თემის ირგვლივ მოეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.</p>

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა	ცალი	1		19 000
ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა	ცალი	1		2 000

ახალგაზრდული ცენტრის ბრენდირება, ახალგაზრდების ინფორმირებულობა				4 400
არაფორმალური განათლების ხელშეწყობა				11 700
ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	ცალი	13	3 000	39 000
კლუბების განვითარების ხელშეწყობა	ცალი	4	2 500	10 000
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა				10 000
აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებები	ცალი	4	1 500	6 000
ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	ცალი	1	5 000	5 000
სულ ქვეპროგრამა				107 100

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა	X	X	X	X
ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა	X	X	X	X
ახალგაზრდული ცენტრის ბრენდირება, ახალგაზრდების ინფორმირებულობა	X	X	X	X
არაფორმალური განათლების ხელშეწყობა	X	X	X	X
ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	X	X	X	X
კლუბების განვითარების ხელშეწყობა	X	X	X	X
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა	X	X	X	X
აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებები		X	X	X
ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე			X	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

- ფუნქციონირებს ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისა და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების თავშეყრის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობისა და ახალგაზრდების განვითარების ალტერნატიული სივრცე.
- ახალგაზრდები დამოუკიდებლად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას, შესაბამისად მხარდაჭერილია ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელება.

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით გათვალისწინებული „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ პუნქტით დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 10 პირის დაფინანსების შემდეგ, „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ პუნქტში ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 10 პირზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>1. ფუნქციონირებს ახალგაზრდობისთვის არაფორმალური განათლების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისა და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდობის თავშეყრის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობისა და ახალგაზრდობის განვითარების ალტერნატიული სივრცე.</p> <p>2. ახალგაზრდები დამოუკიდებლად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას, შესაბამისად მხარდაჭერილია ახალგაზრდობის ინიციატივების განხორციელება.</p>	ცენტრში ჩატარებული აქტივობების რაოდენობა	250	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ახალგაზრდული ცენტრის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობა (არანაკლებ)	3000	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტების რაოდენობა	10	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	განსახილველად წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობა (არანაკლებ)	25	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	64 500
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	64 500

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარების ხელშეწყობა,

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მოზარდობისა და ახალგაზრდული ასაკი ეს არის გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო პერიოდი. ამ დროს მოზარდები ინტერესს აკლენენ იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახასიათებთ შემოქმედებითობა, ახალი ცოდნის მიღებისა და თვითგანათლების მოთხოვნილება, აბსტრაქტული აზროვნება, იდეალიზებული და წარმოსახვის უნარები, უფროსი სასკოლო ასაკის სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად. არსებითი ძვრები ხდება მათი აზროვნების განვითარების მიმართულებით, აზროვნება ღებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს. სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზეზობრივი კავშირების ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ინტელექტუალური განვითარება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ გროვდება გარკვეული ცოდნა და იცვლება ინტელექტის ცალკეული მხარეები, არამედ ყალიბდება გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილი. 16 – 17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით ამ პერიოდში ახალგაზრდობისთვის არსებობდეს ინტელექტუალური განვითარების პროგრამები, პროექტები, ახალგაზრდული ბანაკები და ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელშემწყობი და მასტიმულირებელი სივრცეები, რაც მათ დაეხმარებათ აზროვნების განვითარებაში, ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. იმის გათვალისწინებით, რომ უფროსი სასკოლო ასაკის, სტუდენტებისა და ახალგაზრდობის განსაკუთრებული ინტერესის წყაროს წარმოადგენს ინტელექტუალურ და შემეცნებით თამაშებსა და აქტივობებში ჩართულობა, ბათუმელი ახალგაზრდობის გონებრივი, კოგნიტური და ინტელექტუალური განვითარებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი ღონისძიებები:

<p>1. ინტელექტუალური - თამაში "რა? სად? როდის?" ლონისძიება ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად: ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები; ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები; გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები; თამაშები ჩატარდება „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy-ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრენ-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდებიან წიგნებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.</p> <p>2. ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი) - გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურს „ეტალონი“ მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეს. მონაწილეს შეუძლია თითოეულ დასმულ კითხვაზე, ოთხი სავარაუდო პასუხიდან, 15 წამის განმავლობაში გასცეს სწორი პასუხი. პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლინდება „ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლე“. ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება პროექტის ორგანიზების ხარჯები.</p>
<p>3. კონკურსი „სიტყვის კონა“ - სულხან-საბა ორბელიანი აღორძინების ხანის დიდი მოღვაწე, შესანიშნავი იგავთმწერი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, დიპლომატი და მეცნიერი იყო. ორბელიანის განმანათლებლური მოღვაწეობა, მწერლობის აღორძინებასთან ერთად, მიზნად ისახავდა სამეცნიერო დარგების განვითარებას. ენციკლოპედიურ ელემენტებს შეიცავს მისი „ქართული ლექსიკონი“ („სიტყვის კონა“, 1685–1716), რომელიც გამოირჩევა იმ დროისათვის მოწინავე მეთოდოლოგიით, უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის სიუხვით; მასში ასახულია ქართული სალიტერატურო ენის, კერძოდ, ლექსიკონის განვითარების ძირითადი ეტაპები. გლობალიზაციის პირობებში, მნიშვნელოვანია რომ შევინარჩუნოთ ჩვენი საგანძურის - ქართული ენის სიწმინდე, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა თავის დროზე ლექსიკონის შექმნაც.</p> <p>კონკურსი მიზნად ისახავს ქართული ენის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ახალგაზრდა თაობებში ქართული ენის ლექსიკური მარაგისა და განმარტებით ლექსიკონთან მუშაობის უნარების განვითარებას. ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-2 და მე-3 საფეხურის მოსწავლეებისთვის ჩატარდება კონკურსი სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის „სიტყვის კონაში“. საუკეთესო შედეგების მქონე მოაწილეები დასაჩუქრდებიან სხვადასხვა პრიზებით.</p> <p>ქვეპროგრამის განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის გამოვლენის წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით.</p>
<p>4. „აჭარის საერთაშორისო ჯემზორი - სკაუტური სამყარო“ - ცნობილია, რომ ახალგაზრდული ბანაკები მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციის, დამოუკიდებლობის, ინტელექტუალური განვითარების, ახალი გამოცდილების, საკუთარი თავის უკეთ შეცნობისა და პასუხისმგებლობის გამომუშავების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, სადაც საინტერესოდ დაგეგმილი დღის რეჟიმი, იძლევა გართობის, დასვენებისა და შემეცნების შესაძლებლობებს.</p> <p>სკაუტური ბანაკის პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის განვითარება. ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების გაცნობა, დამეგობრება, ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება და სამომავლოდ ერთობლივი საერთაშორისო პროექტების დაგეგმვა და ოფიციალური ურთიერთკავშირების დამყარება. პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საზაფხულო ბანაკის ორგანიზებას ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, მასში მონაწილეობას მიიღებს 300 ახალგაზრდა, მათ შორის იქნებიან სკაუტები საქართველოდან და 15-დე სხვადასხვა ქვეყნიდან. ბანაკის განმავლობაში მონაწილეები იცხოვრებენ კარვებში. ბანაკში ჩატარდება 10 - მდე გუნდური თამაში, 15-დე სკაუტური თამაში, რომლის დახმარებით მონაწილეები გაიუმჯობესებენ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. ერთი დღე გამოყოფილი იქნება აჭარისა და ბათუმის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისთვის. ბანაკის პერიოდში უცხოელი და ქართველი სკაუტები ბათუმში მოაწილებენ „სკაუტურ დღეებს“ , რომლის ფარგლებშიც ქალაქის რამდენიმე ადგილას წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სკაუტური მოძრაობის გამოფენები, ქალაქის ქუჩებში გაიმართება საზეიმო სკაუტური მარში. ბანაკში ერთი საღამო მიეძღვნება ქართულ კულტურასა და ტრადიციებს. ბანაკის ხანგრძლივობა გასტანს 7 დღეს.</p>

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?	ტური	1	15000	15000

ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი)	ეტაპი	1	2960	2 960
კონკურსი „სიტყვის კონა“	კონკურსი	1	17 040	17 040
„აჭარის საერთაშორისო ჯემბორი - სკაუტური სამყარო“	პროექტი	1	29 500	29 500
სულ ქვეპროგრამა				64 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?	X	X	X	X
ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი)		X		
კონკურსი „სიტყვის კონა“		X	X	
„აჭარის საერთაშორისო ჯემბორი - სკაუტური სამყარო“		X	X	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარება.

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარება.	ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებული და მხარდაჭრილია მუნიციპალიტეტის მიერ	4	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელებული ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	1800	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01

პროგრამის დასახელება:

ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის პრევენცია და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქ. ბათუმის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მიღწევა სრულიად შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტში გათვალისწინებული მიზნობრივი ქვეპროგრამების მეშვეობით.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	4 805 415	1 127 700	1 111 525	1 233 625	1 332 565
ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	375 600	92 700	94 300	94 300	94 300
ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	418 078	110 940	99 140	102 350	105 648
მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	623 300	160 800	160 800	150 850	150 850

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება	147 465	92 465	55 000	0	0
შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია	1 656 800	345 000	402 500	454 650	454 650
ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	5 816 719	1 257 600	1 420 345	1 535 824	1 602 950
ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	667 200	166 800	166 800	166 800	166 800
მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	5 616 775	659 500	1 652 425	1 652 425	1 652 425
ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება	7 243 640	2 065 700	1 725 980	1 725 980	1 725 980
თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	317 400	85 200	77 400	77 400	77 400
სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობების კვლევა	7 200	7 200	0	0	0
სულ პროგრამა	27 695 592	6 171 605	6 966 215	7 194 204	7 363 568

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
	2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					
გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებული შედეგები	8716	8896	9450	9700	9700	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც დაავადებათა ადრეული გამოვლენის და პრევენციის მიზნით ჩაუტარდათ დიაგნოსტიკა და სკრინინგი	8400	5162	5100	4500	4500	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ბენეფიციართა ჩართულობის %- ლი მაჩვენებელი	80	80	80	80	80	%	ქ. ბათუმის მუნიციპალი ტეტის მერიის ჯანმრთელო ბისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი
---	----	----	----	----	----	---	---	--	-------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 127 700
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 127 700

ქვეპროგრამის მიზანი:

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა და მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მედიკამენტებითა და ჯანმრთელობისთვის საჭირო საკვები დანამატებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს მედიკამენტების მიღება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და რისი შედეგაც მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, მათი დახმარების მიზნით, ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა ზემოაღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში მედიკამენტები მიეწოდება: 1) ბრონქული ასთმით დაავადების მქონე 19 წლამდე ასაკის პირებს; 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შშმ პირსა და ასაკით პენსიონრებს; 2) ეპილეფსიით დაავადებულ ბენეფიციარებს, მათ შორის - 18 წლის ჩათვლით ასაკის პირს; 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირს; შშმ პირებსა და ასაკით პენსიონრებს. 3) მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარებს, მათ შორის - 0-დან 100 000 ქულის მქონე პირს; შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონრებს, ომის ვეტერანებს. 4) პარკინსონით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონრებს. 5) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირებს საკვები დანამატების შექმნის მიზნით გაეწევათ მატერიალური დახმარება. 6) სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა. 7) 18 წლამდე ასაკის ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირებს.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	რაოდენობა	325	134	43 560

ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	რაოდენობა	410	353	144 881
დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის	რაოდენობა	3500	200	700 000
მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	რაოდენობა	2050	68	139 139
18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	რაოდენობა	13	1 600	20 800
18 წლამდე ასაკის ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	რაოდენობა	15	1 600	24 000
18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	რაოდენობა	9	3 000	27 000
პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	რაოდენობა	75	378	28 320
სულ ქვეპროგრამა		6397		1 127 700

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის	X	X	X	X
მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	X	X	X	X
18 წლამდე ასაკის ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	X	X	X	X
18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	X	X	X	X
პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ცალკეულ ღონისძიებებს შორის თანხების გადანაწილება (დაზუსტება) შეიძლება განხორციელდეს ქვეპროგრამის ბენეფიციართა ფაქტიური მოთხოვნებიდან (მომართვიდან) გამომდინარე. პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს. ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა, ეპილექსიით დაავადებულ პაციენტთა და პარკინსონით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ღონისძიებების ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა ისარგებლებენ ამ დაავადებისათვის აუცილებელ მედიკამენტებით, გარდა იმ მედიკამენტებისა, რომლებიც მათ მიეცემათ მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კერძოდ: სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი 50მკგ/250მკგ საინჰალაციო ფხვნილი, სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი 50მკგ/500მკგ საინჰალაციო ფხვნილი სალბუტამოლი 100მკგ დოზა საინჰალაციო აეროზოლი, მეტფორმინი 1000მგ, გლიკლაზიდი 60მგ, ლევეტირაცეტამი, კარბამაზეპინი, ლამიქტალი, ვალპროატ აციდი 500 და 300 მგ, ლევოდოპა კარბიდოპა 50/250 მგ. დახმარება მედიკამენტების შექენისათვის ღონისძიების ფარგლებში მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შ.შ.მ. პირებს, ომის ვეტერანებს; ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს. ასევე მარტოხელა ასაკით პენსიონერებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული სერვის ცენტრების მენეჯერების მიერ. ჩამოთვლილ ბენეფიციარებს, დაუფინანსდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა არაუმეტეს 200 ლარისა მიმდინარე წლის განმავლობაში ერთხელ ოჯახზე. ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების ან სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა; 5. ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან თანხისა და მედიკამენტების რაოდენობის მითითებით. 7. სოციალური სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული მოკვლევა. თანხის გადარიცხვა მოხდება ანგარიშ-ფაქტურაზე მითითებული აფთიაქის პირად ანგარიშზე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები	ქვეპროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	6397	ერთეული	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 02
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	92 700
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	92 700

ქვეპროგრამის მიზანი:

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით დიაგნოსტიკის ჩატარება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოში მკვეთრად მოიმატა ონკოლოგიურ დაავადებათა რაოდენობამ და შესაბამისად, ძალიან მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებლები. ამასთანავე, დაავადების აღმოჩენა ხდება დაავადების გვიან ეტაპზე, როცა განკურნების შანსი ძალიან დაბალია. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაავადების ადრეულ გამოვლენას საწყის ეტაპზე, როცა განკურნების შანსი 75 %-მდე აღწევს. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა აღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ქალთა გინეკოლოგთან კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის აღება, კოლპოსკოპია, საშვილოსნოს ექოსკოპიური გამოკვლევა (35-40 და 60 წლის ზემოთ), 30-40 წლამდე ასაკის ქალებში მამოგრაფიული გამოკვლევა. ასევე - მკერდის, პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ პირთა გამოკვლევა ონკომარკერებით. 25 და 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია. 50-დან 60 წლამდე ასაკის ქალებისა და 50-დან 65 წლამდე მამაკაცებისათვის (გამოკითხვა, ექიმის კონსულტაცია და kT კვლევა) ფილტვის კიბოს სქრინინგი.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია	რაოდენობა	100	20	2 000
ფილტვის კიბოს სქრინინგი	რაოდენობა	1 500	35	52 500
25 და 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია	რაოდენობა	200	18	3 600

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო-მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით.	რაოდენობა	2 000	14	28 000
60 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექოსკოპია.	რაოდენობა	300	22	6 600
სულ ქვეპროგრამა		4 100		92 700

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია	X	X	X	X
ფილტვის კიბოს სკრინინგი	X	X	X	X
25 დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია	X	X	X	X
ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო-მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით.	X	X	X	X
60 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექოსკოპია.	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელებულია დიაგნოსტიკა

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული შესაბამისი ასაკის ბენეფიციარები პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელებულია დიაგნოსტიკა	დიაგნოსტირებულ ბენეფიციართა რაოდენობა	4 100	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 04

ქვეპროგრამის დასახელება:

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	110 940
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	110 940

ქვეპროგრამის მიზანი:

ქ. ბათუმში მცხოვრებ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

რეაბილიტაციის პროცესის ეს ნაწილი გულისხმობს უნარშეზღუდული პიროვნების ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას საზოგადოებასთან, რითაც ეხმარება მას მოერგოს ოჯახის, საზოგადოებისა და ოკუპაციის მოთხოვნებს. აგრეთვე, ამცირებს ნებისმიერ ეკონომიკურ თუ სოციალურ ხელის შემშლელ ფაქტორებს, ბარიერებს, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს რეაბილიტაციის პროცესი. აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლებენ: ქ. ბათუმში რეგისტრირებული შშმ სტატუსის მქონე 18 წელს გადაცილებული პირები. თითოეული ბენეფიციარისთვის (ქ. ბათუმში მცხოვრებ 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის) ხდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა. კერძოდ: უტარდებათ ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	რაოდენობა	30	3 698	110 940
სულ ქვეპროგრამა		30		110 940

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარებულია სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის ბენეფიციარებზე გაიცემა ყოველთვიური ვაუჩერი. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს. ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. შპმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა. 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარებული სარეაბილიტაციო ღონისძიებები	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	30	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამს	ორ კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 05

ქვეპროგრამის დასახელება:

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	160 800
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	160 800

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირთა, ომის ვეტერანების (ასაკით პენსიონერები, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი) და 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურების გაწევა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

სტომატოლოგიური მომსახურება ძვირადღირებულ სერვისს წარმოადგენს, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო დაზღვევის მიერ და პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების ბენეფიციარები, ასევე ომის ვეტერანი (ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი) ; ხოლო 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები ისარგებლებენ სტომატოლოგიური, ორთოპედიული და ორთოდონტიული მომსახურებით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	რაოდენობა	720	220	158 400
18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება	რაოდენობა	10	240	2 400
სულ ქვეპროგრამა		730		160 800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
------------	------------	------------	------------	------------

სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	X	X	X	X
18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება

დამატებითი ინფორმაცია

ოშში დაინვალიდებული პირები და ასაკით პენსიონერი ომის ვეტერანები ვეტერანთა საქმის დეპარტამენტის ბაზაში აღრიცხვაზე უნდა იყვნენ 2019 წლის 1 იანვრამდე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება	სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	720	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი
	ქვეპროგრამით მოსარგებლე 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვების რაოდენობა	10	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 06

ქვეპროგრამის დასახელება:

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	92 465
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	92 465

ქვეპროგრამის მიზანი:

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა, მკურნალობის კონტროლი და გართულებების პრევენცია

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 200000-მდე C ჰეპატიტით დაავადებული პირია, რაც ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს. ვირუსის ელიმინაციის მიზნით, საქართველოში განხორციელდა უპრეცედენტო ღონისძიება, რომლის ფარგლებში, ამ ვირუსით დაავადებულ პირებს მიეცათ უფასოდ მკურნალობის საშუალება. საქართველოს მასშტაბით პროგრამით უკვე ისარგებლა 48000-მა პირმა და გამოჯანმრთელების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 98 %-ს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #169 დადგენილებით ამოქმედდა "C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ხელშეწყობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსების ქვეპროგრამა, რის მიხედვითაც, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (0-70000 სარეიტინგო ქულამდე) და ომის მონაწილეებსა და ომის ვეტერანებს სრულად დაუფინანსდება მომსახურეობა, ხოლო სხვა კატეგორიის მოსახლეობას დაუფინანსდება დამატებით სრული ღირებულების 42 %.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სოციალურად დაუცველთა, ომის ვეტერანთა დიაგნოსტიკა და მკურნალობის მონიტორინგი (ვაუჩერი)	რაოდენობა	70	90	6 300
დიაგნოსტიკა და მკურნალობის მონიტორინგი (ვაუჩერი)	რაოდენობა	985	87	86 165
სულ ქვეპროგრამა		1055		92 465

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალურად დაუცველთა, ომის ვეტერანთა დიაგნოსტიკა და მკურნალობის მონიტორინგი (ვაუჩერი)	X	X	X	X
დიაგნოსტიკა და მკურნალობის მონიტორინგი (ვაუჩერი)	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ჩატარებულია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი.

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული პირები, რომელთაც დაუდგინდათ C ჰეპატიტი. გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. თანხის გადარიცხვა მოხდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ მომსახურების გამწევი იმ სამედიცინო დაწესებულებების პირად ანგარიშზე, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩართული არიან C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში. თითოეულ პირზე გაიცემა საშუალოდ ორი ვაუჩერი, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობის მონიტორინგის მხრივ.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ჩატარებულია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	492	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	ყოველკვარტალურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	მონიტორინგი
	ქვეპროგრამით მოსარგებლე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა და ომის ვეტერანთა რაოდენობა	35	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ყოველკვარტალურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურება (ბ)
ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 07
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	345 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	345 000

ქვეპროგრამის მიზანი:

კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის კურსის ჩატარება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

შ.შ.მ. პირებისა და ომის ინვალიდებისათვის, მათი დაავადებიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია, რომელიც ეხმარება მათ დაავადების დამლევაში, საზოგადოებასთან ინტეგრაციაში. აქედან გამომდინარე შემუშავებული იქნა მოწყვლადი ჯგუფების დასვენება კურორტზე. ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით შემოვიდა განაცხადები მცირე ტიპის საოჯახო სახლის, მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერებიდან, რომელიც გათვალისწინებული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანის (ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების დასვენება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების დასვენება	რაოდენობა	470	500	235 000

შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირების მომსახურება	რაოდენობა	220	500	110 000
სულ ქვეპროგრამა		690		345 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების დასვენება		X	X	
შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირების მომსახურება			X	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის 12 დღიანი კურსი

დამატებითი ინფორმაცია

<p>ბენეფიციარს წლის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთ კურორტზე დასვენებით. ღონისძიებებს შორის გადანიწილება შეიძლება განხორციელდეს ფაქტიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის მომსახურებით შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ ქ. ბათუმში რეგისტრირებულმა და ფაქტიურად მცხოვრებმა (უნდა ჰქონდეს სარეიტინგო ქულა ქ. ბათუმში) შ.შ. მ. პირებმა 30 წლამდე, ომის ვეტერანმა ასაკით პენსიონერებმა, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა. ომის ვეტერანის (ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები უნდა იყვნენ 2019 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვაზე ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის ბაზაში. თითოეულ ბენეფიციარზე და თანმხლებ პირზე გაიცემა ვაუჩერი. ვაუჩერის გაცემის-გამოყენების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მერის ბრძანებით.</p>
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოტერაპიისა და რეაბილიტაციის კურსი	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	690	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	წელიწადში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 09
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 257 600
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 257 600

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალშობილებში აუდიოლოგიური პათოლოგიისა და გენეტიკური პათოლოგიის ადრეული აღმოჩენა. სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის. მშობელთა ცნობიერების ამაღლება ტრენინგების მეშვეობით.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დაავადებათა ადრეულ ასაკში აღმოჩენა (სქრინინგი განსაკუთრებით გენეტიკური და თანდაყოლილი პათოლოგიების შემთხვევაში), ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების გამოვლენა, პროგრამაში ჩართვა და სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება, ბავშვების განვითარების სტიმულირება. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდებათ სმენის და მუკოვისციდოზის (რადგან სხვა გენეტიკური დაავადებების - ფენილკეტონურია, ჰიპოთირეოზის კვლევა ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამით) სქრინინგული გამოკვლევა; ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაცია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, საერთო ჯამში თვეში 8 მომსახურების გაწევა, აგრეთვე მშობლებისათვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება.

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევების მქონე 2-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდებათ ფსიქოლოგის და ლოგოპედის მომსახურება.

აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2 დან 15 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს გამოყენებითი ქვეყნითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა. საშუალოდ 15 გაკვეთილი თვის განმავლობაში.

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდებათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი (15 სამკურნალო მასაჟი, 15 ფიზიოპროცედურა, კალციუმის შემცველი მედიკამენტები).

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა პირველადი სქრინინგი მუკოვისციდოზზე	რაოდენობა	1306	5	6 600
ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა მეორადი (საჭიროების შემთხვევაში) სქრინინგი მუკოვისციდოზზე	რაოდენობა	85	179	15 220
ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	რაოდენობა	250	100	25 000
ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	რაოდენობა	15	2 066	30 990
ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება. ტრენინგ-სემინარების ჩატარება 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის	რაოდენობა	380	1 539	584 800
ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	რაოდენობა	350	131	45 990
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	რაოდენობა	155	3 542	549 000
სულ ქვეპროგრამა		2541		1 257 600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა პირველადი სქრინინგი მუკოვისციდოზზე	X	X	X	X
ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა მეორადი (საჭიროების შემთხვევაში) სქრინინგი მუკოვისციდოზზე	X	X	X	X
ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	X	X	X	X
ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	X	X	X	X
ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება. ტრენინგ-სემინარების ჩატარება 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის	X	X	X	X

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	X	X	X	X
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სკრინინგი და მუკოვისციდოზზე სკრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარებულია ტრენინგ-სემინარები. ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი.

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით ისარგებლებენ: I-II-III ღონისძიებით მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს, მეოთხე ღონისძიებით მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 7 წლამდე ასაკის, ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულ ბავშვებს; მეხუთე ღონისძიებით მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 7 წლამდე ასაკის ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულ ბავშვებს შემდეგი პათოლოგიით: დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და სხვა. მომსახურება გაეწევათ იმ ბავშვებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით. ყოველთვიურად, საშუალოდ 8 მეცადინეობა. მეექვსე ღონისძიების მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0-F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც: 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია დაფინანსდება ვაუჩეული პრინციპით. ვაუჩერის გაცემის-გამოყენების წესი განსაზღვრება ქ. ბათუმის მერის ბრძანებით. ქვეპროგრამის ფარგლებში, მეექვსე ღონისძიებით მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულ ბავშვებს. 2019 წელს დაფინანსდება 2018 წლის დეკემბრის თვეში ჩატარებული აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მომსახურება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სკრინინგი და მუკოვისციდოზზე სკრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარებულია ტრენინგ სემინარები</p>	<p>ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც ჩატარდათ აუდიოლოგიური სკრინინგი</p>	1306	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	ყოველკვარტალურად	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	მონიტორინგი
	<p>ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა პირველადი და მეორადი (საჭიროების შემთხვევაში) სკრინინგი მუკოვისციდოზზე</p>	85	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	ყოველკვარტალურად	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	მონიტორინგი
	<p>ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც ჩატარდათ ადრეული რეაბილიტაცია</p>	180	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	ყოველკვარტალურად	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	მონიტორინგი
	<p>ქვეპროგრამაში ჩართული სმენის დარღვევების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა</p>	15	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	ყოველკვარტალურად	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	მონიტორინგი

	ქვეპროგრამაში ჩართული აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რაოდენობა	155	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ყოველკვარტალურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი
--	---	-----	-----------	--	------------------	--	-------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 10

ქვეპროგრამის დასახელება:

ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	166 800
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	166 800

ქვეპროგრამის მიზანი:

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა კომპენსაციით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტები არიან თირკმლის პათოლოგიის მქონე შ.შ.მ პირები, რომელთაც თვის განმავლობაში ესაჭიროებათ მინიმუმ 12 პროცედურა და შესაბამისად ტრანსპორტირების ხარჯები, რისი საშუალებაც მათ არ გააჩნიათ. ასევე ლეიკემიით დაავადებული ბავშვები არიან შ.შ. მ. პირები, რომელთაც ყოველთვიურად უწყვეტ მედიკამენტების შექმნა, კონსულტაცია ქ. თბილისში, სხვადასხვა დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე შემუშავებული იქნა ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტებს გაეწევათ ყოველთვიური კომპენსაცია 60 ლარის ოდენობით, ხოლო ლეიკემიით დაავადებულ პირებს (18 წლის ჩათვლით) გაეწევათ დახმარება 200 ლარის ოდენობით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება	რაოდენობა	145	720	104 400
ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაცემა (ბენეფიციარი)	რაოდენობა	26	2 400	62 400
სულ ქვეპროგრამა		171		166 800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება	X	X	X	X
ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაცემა (ბენეფიციარი)	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული პირები, რომლებიც გადიან მკურნალობის კურსს ჰემოდალიზის ცენტრებში. აგრეთვე, ქ. ბათუმში რეგისტრირებული 18 წლის ასაკის ჩათვლით ლეიკემიით დაავადებული პირები. ღონისძიებებს შორის გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ფაქტიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	171	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 12
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	659 500
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	659 500

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მედიკამენტებითა და მკურნალობის თანადაფინანსებით უზრუნველყოფა. ქ. ბათუმში რეგისტრირებული, ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო არ აქვს საშუალება დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით. აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა თანადაფინანსების ქვეპროგრამა სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას. ასევე, ინდივიდუალური დახმარების ღონისძიება - სამედიცინო კუთხით სხვადასხვა საჭიროებებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაცია მიეკუთვნება ისეთ ძვირადღირებულ ოპერაციათა რიცხვს, რომელიც პაციენტებისათვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს და მათთვის საციცოცხლოდ აუცილებელია. ასეთი პირების დახმარების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ღონისძიება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	რაოდენობა	10	30 000	300 000
ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	რაოდენობა	610	589	359 500
სულ ქვეპროგრამა		620		659 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	X	X	X	X
ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება.
მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის.

დამატებითი ინფორმაცია

პირველი ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირებს, რომელთა ოპერაციული მკურნალობის აუცილებლობა დასტურდება შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ფორმა #100-4ა-თი და ანგარიშფაქტურით. ასევე, ოპერაციის მომსახურება დაუფინანსდებათ იმ პირებს, რომლებმაც ღვიძლის ტრანსპლანტაცია ჩაიტარეს 2018 წელს.

მეორე ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2019 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს, რომლებიც ჩართული არიან საყოველთაო ჯანდაცვაში: N 36-ე დადგენილებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; მოქალაქეებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება სერვის ცენტრის მენეჯერის ადმინისტრაციული ერთეულის მენეჯერის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ასევე 165-ე დადგენილების ბენეფიციარებს (0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასაკით პენსიონერებს), რომელთაც არ აქვთ 70001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და რომლებიც არ სარგებლობენ აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით. მათ დაუფინანსდებათ მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით (საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხიდან).

მეორე ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების მოწმობა; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა. 5. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა მომსახურეობის მითითებით. 6. საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული მიმართვა (ვაუჩერი) მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მითითებით. 7. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დასკვნა. გათვალისწინებული მომსახურეობა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქ. ბათუმის მერი. თანხის გადარიცხვა მოხდება ანგარიშ-ფაქტურასა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმართვის მომსახურეობის გამწვევი სამედიცინო დაწესებულებების პირად ანგარიშზე. თანხის გაანგარიშება მოხდება ინდივიდუალურად გამომდინარე იქედან თუ რომელი დადგენილებით არის დაზღვეული ბენეფიციარი: დადგენილება #36 თუ #165-ე. თანხა შეივსება 100%-მდე იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო ჯანდაცვიდან გაცემულ მიმართვაში არ არის მინიშნება, რომ მოწოდებული ფასი აჭარბებს ტარიფის არეალის ლიმიტს. თანაგადახდა ანგარიშდება ტარიფის არეალის ზედაზღვარზე დაფიქსირებული, ღირებულებიდან სტატუსის გათვალისწინებით. ღონისძიებებს შორის გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ფაქტური მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის	ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	10	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი
	გეგმიური ოპერაციული მკურნალობით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა	610	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 13

ქვეპროგრამის დასახელება:

ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	2 065 700
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	2 065 700

ქვეპროგრამის მიზანი:

მოქალაქეთათვის უფასო სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მომსახურების კვალიფიციურად და მაღალეფექტურად გაწევის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში შემუშავებული იქნა „ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარების“ ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომელთათვის ხელფასების დოტაციას და ზამთარ-ზაფხულის პერიოდში დამატებითი ბრიგადების დაფინანსებას. გარდა ზემოაღნიშნულისა დაგეგმილია ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომატიზაციის შექმნის მიზნით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ადმინისტრაციის სახელფასო დანამატი	რაოდენობა	18	7 052	126 944
სამედიცინო პერსონალის სახელფასო დანამატი	რაოდენობა	169	6 433	1 087 220
სამედიცინო პერსონალის შვებულების და ბიულეტენის ანაზღაურება		156	531	82 836
ზაფხულის სეზონთან (3 თვე) დაკავშირებით 3 დამატებითი ბრიგადის ხარჯები		6	34 740	104 220
დამატებითი ბრიგადების შრომის ანაზღაურება	რაოდენობა (ბრიგადა)	3	30 120	90 360

მედიკამენტები, საწვავი, ავტო ტექ. მომსახურება	რაოდენობა (ბრიგადა)	3	4 620	13 860
ზამთრის სეზონთან (3 თვე) დაკავშირებით 2 დამატებითი ბრიგადის ხარჯები		4	34740	69480
დამატებითი ბრიგადების შრომის ანაზღაურება	რაოდენობა (ბრიგადა)	2	30 120	60 240
მედიკამენტები, საწვავი, ავტო ტექ. მომსახურება	რაოდენობა (ბრიგადა)	2	4 620	9 240
შპს „ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მხარდაჭერა (მაღალი გამავლობის (4X4) ავტომანქანების შეძენა	რაოდენობა	4	145 000	580 000
შპს "ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" საკუთრებაში არსებული 10 ერთეული ავტომობილის დაზღვევა	რაოდენობა	10	1 500	15 000
სულ ქვეპროგრამა	0	367		2 065 700

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ადმინისტრაციის სახელფასო დანამატი	X	X	X	X
სამედიცინო პერსონალის სახელფასო დანამატი	X	X	X	X
სამედიცინო პერსონალის შვებულების და ბიულეტენის ანაზღაურება	X	X	X	X
ზაფხულის სეზონთან (3 თვე) დაკავშირებით 3 დამატებითი ბრიგადის ხარჯები		X	X	
ზამთრის სეზონთან (3 თვე) დაკავშირებით 2 დამატებითი ბრიგადის ხარჯები				X
შპს „ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მხარდაჭერა (მაღალი გამავლობის (4X4) ავტომანქანების შეძენა	X	X	X	
შპს "ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" საკუთრებაში არსებული 10 ერთეული ავტომობილის დაზღვევა			X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქალაქში უზრუნველყოფილია დამატებითი სასწრაფო დახმარების ბრიგადები და გაზრდილია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქალაქში უზრუნველყოფილია დამატებითი სასწრაფო დახმარების ბრიგადები და გაზრდილია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება	ზაფხულის სეზონზე სასწრაფო დახმარების დამატებითი ბრიგადების რაოდენობა	3	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისა და ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დოკუმენტაციის ანალიზი წელიწადში ერთხელ
	ზამთრის სეზონზე სასწრაფო დახმარების დამატებითი ბრიგადების რაოდენობა	2	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისა და ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დოკუმენტაციის ანალიზი წელიწადში ერთხელ
	მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ექიმების ხელფასის საშუალო ყოველთვიური დანამატი	550	ლარი	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დოკუმენტაციის ანალიზი წელიწადში ერთხელ

<p>მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ექთნების და ოპერატორების ხელფასის საშუალო ყოველთვიური დანამატი</p>	<p>350</p>	<p>ლარი</p>	<p>პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დოკუმენტაციის ანალიზი წელიწადში ერთხელ</p>
---	------------	-------------	--	-------------------------	--	---

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 01 14

ქვეპროგრამის დასახელება:

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	85 200
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	85 200

ქვეპროგრამის მიზანი:

მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურების უზრუნველყოფა. დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფა. პაციენტისა და პაციენტის ოჯახის წევრების ფსიქოგანათლება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ბენეფიციარის სოციალური უნარჩვევების ტრენინგი და გარემოში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ სულ მცირე ბოლო სამი თვის განმავლობაში არ/ან ვერ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, მიუხედავად საჭიროებისა, ხშირად რჩებიან მკურნალობის გარეშე, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. ამ ადამიანებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს უწყვეტი მომსახურების განხორციელება, რომელიც შეუძლებელია სათემო სერვისების განვითარების გარეშე. ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის თანახმად, პრიორიტეტულია, თანამედროვე თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვის საფეხურობრივი პროცესი და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და ბინაზე მომსახურების სერვისის განვითარება მობილური გუნდის (ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექთანი/უმცროსი ექიმი) საშუალებით. აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ქ. ბათუმში რეგისტრირებული პაციენტებისათვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ღონისძიება, რომლის ფარგლებში, 50 პირისათვის საჭიროებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია: ა) მდგომარეობის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება თითოეული პაციენტისათვის; ბ) შინ მომსახურება, რეგულარული ვიზიტები პაციენტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (არანაკლებ 4 თვეში), სატელეფონო კონსულტაცია; გ) მობილური გუნდის ექიმი ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; დ) პაციენტის სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად სოციალური პრობლემების მოგვარებაში დახმარება (საჭიროების შესაბამისად პაციენტის და მისი მხარდამჭერების ინფორმირება ან/და დოკუმენტაციის შეგროვებაში დახმარება ან/და თანხლება უწყებებში ვიზიტისას); ე) პაციენტის, პაციენტის ოჯახის წევრების და მხარდამჭერების ფსიქოგანათლება და მხარდამჭერი ფსიქოთერაპია; ვ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების ორგანიზება; ზ) 8 საათის მანძილზე

სერვისის ხელმისაწვდომობა; თ) სომატური პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში პაციენტის და მისი მხარდამჭერების ინფორმირება არსებული სომატური პრობლემების, შემდგომი კვლევის საჭიროების და ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ, ამასთან, სომატური პროფილის ექიმთან ვიზიტისას ან გამოკვლევებისას თანხლება, თუ დამოუკიდებლად ამას ვერ ახერხებს პაციენტი და სომატური პრობლემები ნეგატიურად აისახება მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება	რაოდენობა	50	1 704	85 200
სულ ქვეპროგრამა	0	50		85 200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა

დამატებითი ინფორმაცია

მულტიდისციპლინარული ჯგუფი უნდა შედგებოდეს ექიმი ფსიქიატრის, ექიმი ნევროლოგის, ფსიქოლოგის, ფარმაცევტის, სოციალური მუშაკისა და მედიცინის სპეციალისტისგან. გუნდის მუშაობა განისაზღვრება ბინაზე ვიზიტითა და მედიკამენტოზური მკურნალობით ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად. ქვეპროგრამის ფარგლებში, მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული, განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე პირები: ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომურა შლილობათა ჩათვლით(f00-f009), შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი(f20-f29), აფექტური შლილობანი (f30-f39), რეაქცია მწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები (f 43), გონებრივი ჩამორჩენა (f 70 - f 79), ფსიქიკური განვითარების დარღვევები (f80-f89), ზავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი (f90-f98).

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეკოსპიტილიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.	გაუმჯობესებულ ბენეფიციართა რაოდენობა	საშუალოდ 10	%	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისა და ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დოკუმენტაციის ანალიზი წელიწადში ერთხელ
	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	50	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისა და ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული დოკუმენტაციის ანალიზი წელიწადში ერთხელ

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 01 15

ქვეპროგრამის დასახელება:

სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობების კვლევა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	7 200
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	7 200

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში არსებული სამედიცინო დაწესებულებების პოტენციალის, მომსახურებების, ფასის და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევა განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა შესაბამის ცენტრალურ და რეგიონულ სამთავრობო სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ქალაქ ბათუმის ცნობადობის ზრდას სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით, სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვის კოეფიციენტის ზრდას, სამედიცინო სფეროში აკუმულირებული შემოსავლების ზრდასა და სამედიცინო ბიზნესის განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში აქტუალურია სამედიცინო ტურიზმის, როგორც სამედიცინო სფეროს, ტურიზმისა და ბიზნეს სექტორის სინერგიული განვითარების მოდელის დანერგვა. სამედიცინო ტურიზმის აქტუალობა განპირობებულია ქვეყნებს შორის სამედიცინო სფეროს განვითარების სხვადასხვა დონით. განვითარებულ ქვეყნებში არსებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის მას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას კონკურენტული ფასით, რაც შემდგომში განაპირობებს ბათუმის სამედიცინო ტურიზმის ცენტრად ფორმირებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სამედიცინო დაწესებულებების პოტენციალის, მომსახურებების, ფასის და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევა განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კვლევის ჩატარება სამედიცინო ტურიზმის სხვადასხვა ასპექტების გამოვლენის მიზნით	რაოდენობა	1	7 200	7 200
სულ ქვეპროგრამა		1		7 200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კვლევის ჩატარება სამედიცინო ტურიზმის სხვადასხვა ასპექტების გამოვლენის მიზნით		X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

გამოვლენილია სამედიცინო ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებები, შეფასებულია მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სტანდარტებთან შესაბამისობა.

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ჩატარებულია კვლევა სამედიცინო დაწესებულებებში.	სამედიცინო დაწესებულებები	10	რაოდენობა	კვლევა	ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02
-------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2019-2022 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პრობლემების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას, კერძოდ: ხორციელდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლისა და კანალიზაციის, დასუფთავებისათვის მოსაკრებლის, სატელეფონო-საბონენტო გადასახადის დაფარვა, გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება, თხევადი აირის ტალონით დახმარება), მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოებისათვის თანხის გადაცემა, მზრუნველობასმოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით უზრუნველყოფა), მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურება (სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება), უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება) და იმ ბენეფიციარების დროებითი დამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო წყარო და საცხოვრებელი, აგრეთვე მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება (საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სარემონტო მასალების შეძენა.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
------------	-----	-----------	-----------	-----------	-----------

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	2 572 038	619 278	650 920	650 920	650 920
მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	7 760 715	1 410 460	2 020 125	2 020 125	2 310 005
მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	6 994 752	1 673 280	1 773 824	1 773 824	1 773 824
მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	3 573 375	866 340	902 345	902 345	902 345
მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა	64 500	64 500			
მუნიციპალური უფასო სასადილო	15 882 005	3 819 200	4 020 935	4 020 935	4 020 935
დროებითი დამის თავშესაფარი	1 469 330	311 600	385 910	385 910	385 910
საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	145 800	34 500	37 100	37 100	37 100
მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	2 477 400	500 000	650 000	650 000	677 400
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება	186 624	48 384	46 080	46 080	46 080
დასაქმების ხელშეწყობა	50 000	50 000	0	0	0
სულ პროგრამა	41 176 539	9 397 542	10 487 239	10 487 239	10 804 519

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკული კატეგორიების სოციალური პირობები. შემცირებულია მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკები.

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
	2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					
გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკული კატეგორიების სოციალური პირობები	სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	56124	58812	61753	64840	68082	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელო ბისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	სერვისების რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება სოციალური შეღავათები	14	14	14	14	14	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელო ბისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	1147	1080	1265	1328	1328	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელო ბისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი

სოციალური უზრუნველყოფი ს პროგრამაში ჩართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი	80	80	80	80	80	%	ქ. ბათუმის მუნიციპალი ტეტის მერიის ჯანმრთელო ბისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
--	----	----	----	----	----	---	---	---	-------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 01

ქვეპროგრამის დასახელება:

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	619 278
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	619 278

ქვეპროგრამის მიზანი:

მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის კომუნალური, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადებისა და გაზიფიცირების მონტაჟის თანხიდან გათავისუფლება, რაც გარკვეული დოზით დადებითი კუთხით მოახდენს ზეგავლენას მათ მატერიალურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა. სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

1. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; 0-დან 70000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 1,85 ლარი) და დასუფთავების მოსაკრებლის საფასურის (ერთეულის ფასი - 1,30 ლარი) გადასახადის უზრუნველყოფა. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის #3 დადგენილებით იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70.000-ზე დაბალია, მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 1,00 ლარით, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 4 სულით;
2. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დავალიანების (ერთეულის ფასი - არაუმეტეს 5 ლარისა) დაფარვით უზრუნველყოფა;
3. მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; 0-დან 70000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებით უზრუნველყოფა - კერძოდ, ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის

სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე;
 4. ვეტერანის, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულებისათვის ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის შეძენა, რომელთაც არა აქვთ შეყვანილი ბუნებრივი აირი საცხოვრებელ ფართში.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა		14 260		316 572
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	რაოდენობა	1 660	22	36 852
ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	1 850	22	41 070
0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები	რაოდენობა	10 750	22	238 650
დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა		14 260		183 756
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	რაოდენობა	1 660	16	25 896
ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	1 850	16	28 860
0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები	რაოდენობა	10 750	12	129 000
სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა		830		49 800
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	რაოდენობა	230	60	13 800
ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	600	60	36 000
გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე		140		50 400
მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები	რაოდენობა	15	360	5 400

ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	65	360	23 400
0-70000 ჟღერის მქონე სოციალურად დაუცველი პირები	რაოდენობა	60	360	21 600
ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება	რაოდენობა	125	150	18 750
სულ ქვეპროგრამა	0	29 615		619 278

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა	x	x	x	x
დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა	x	x	x	x
სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა	x	x	x	x
გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე	x	x	x	x
ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით

დამატებითი ინფორმაცია

1. წყლის, კანალიზაციისა და სანდასუფთავების გადასახადზე შეღავათების გავრცელება განხორციელდება ყოველთვიურად ს(ს)იპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ქ. ბათუმში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ სტატუსის ბავშვების, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სიების, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში აღრიცხვაზე მყოფი მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების, მრავალშვილიანი (5 და მეტი შვილი) ოჯახების სიების და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების სიების საფუძველზე. ღონისძიებებში მითითებული ბენეფიციართა რაოდენობა წარმოადგენს წლის განმავლობაში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა საშუალო საორიენტაციო რაოდენობას, რომელიც ყოველთვიურად შეიძლება შეიცვალოს/დაზუსტდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს ვეტერანთა სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მოსარგებლე ბენეფიციართა წყლისა და კანალიზაციის და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა ყოველთვიურად მოხდება ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით და ერთეულის ფასის გათვალისწინებით პროგრამული ბიუჯეტის ცვლილების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს წყლის აღრიცხვიანობა უზრუნველდება მრიცხველის საშუალებით, მას დაეფარება 3,6 კმ გახარჯული წყლის საფასური, რომელიც შეადგენს 1,85 ლარს, მითითებულ რაოდენობაზე მეტი ხარჯი დაიფარება ბენეფიციარის მიერ.

2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის გადახდაზე შეღავათის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, შშმ სტატუსის ბავშვის შესახებ ან ვეტერანის მოწმობა და ცნობა სატელეფონო კომპანიიდან აღნიშნული ბენეფიციარის აბონენტად რეგისტრაციის შესახებ. შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის სახელზე გაფორმებული აბონენტის რეგისტრაციის ცნობა.

3. საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დროს წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი კატეგორიის დამადასტურებელი მოწმობა (ვეტერანი, შშმ პირი, შშმ სტატუსის ბავშვი, სოციალურად დაუცველი), გაზიფიცირების ხელშეკრულება და ბუნებრივი აირის მოხმარების 1 წერტილის მოწყობის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა. შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის სახელზე გაფორმებული ხელშეკრულება ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი არის მკვეთრად გამოხატული საერთო შშმ, შშმ სტატუსის ბავშვი ან ვეტერანი და მათთან გათანაბრებული პირი და ამასთანავე ოჯახს აქვს მიკუთვნებული 0-70.000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა პროგრამით გათვალისწინებული შეღავათი გაუზრცელდება ერთ-ერთი კატეგორიით - 90%-ნი თანადაფინანსებით. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ცხოვრობს ორი მკვეთრად გამოხატული შშმ, ორი შშმ სტატუსის ბავშვი ან ორი ვეტერანი და მათთან გათანაბრებული პირი, მაშინ გაზიფიკაციის თანხით დახმარება გავრცელდება მკვეთრად გამოხატული შშმ, შშმ სტატუსის ბავშვის ან ვეტერანისა და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახზე. 2019 წელს პროგრამის ფარგლებში გაზიფიკაციის ვაუჩერი დაუფინანსდება იმ 0-70000 ქულის ჩათვლით მქონე სოციალურად დაუცველებს, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს, შშმ სტატუსის მქონე ბავშვებს და ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებსაც 2018 წლის ნოემბერ- დეკემბერში ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება და მიუხედავად ამისა ვერ მოხერხდა მათი საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დაფინანსება. 2019 წელს გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქ. ბათუმის მერი. თანხის გადარიცხვა მოხდება მომსახურების გამწვევი გაზისშემყვანი კომპანიის პირად ანგარიშზე ბენეფიციარის საცხოვრებელ ფართში ბუნებრივი აირის შეყვანის შემდეგ, გაწეული სამუშაოსათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის (ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტის) საფუძველზე. თანხის გაანგარიშება მოხდება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 ოქტომბრის # 26 დადგენილების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსებით.

4. თხევადი აირის ტალონის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ვეტერანის მოწმობა.

5. საჭიროების შემთხვევაში ღონისძიებებს შორის თანხა შეიძლება გადანაწილდეს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით	წყლისა და კანალიზაციის საფასურზე და დასუფთავებისათვის მოსაკრებელზე შეღავათის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	14260	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ვებტერანთა დეპარტამენტიდან
	სატელეფონო-სააბონენტო გადასახადზე შეღავათის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	830	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ვებტერანთა დეპარტამენტიდან
	გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა	140	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ვებტერანთა დეპარტამენტიდან
	თხევადი აირის ტალონით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	125	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება ვებტერანთა დეპარტამენტიდან. მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 410 460
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 410 460

ქვეპროგრამის მიზანი:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

unicef-ს რეკომენდაციების შესაბამისად მოწყვლადი კატეგორიებისათვის კეთილდღეობის კვლევის ანალიზის მიხედვით ცხოვრების დონის ამაღლებაზე ყველაზე ეფექტურად მოქმედებს მიზნობრივი მატერიალური დახმარებები. აქედან გამომდინარე შემუშავებული იქნა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა:

1. სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ პირებს, კერძოდ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 15 თებერვალს - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ ვეტერანებს ; 9 მაისსთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრებს; 27 სექტემბერთან დაკავშირებით საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს. ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ ვეტერანებს, საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს .
2. შვილის შექმნასთან დაკავშირებით 0-დან 100 001- მდე ქულის მქონე ოჯახებს .
3. გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს .
4. მოხდება ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.
5. მატერიალური დახმარების გაცემა 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახებზე, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიან ოჯახებზე, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახებზე, 5 და მეტი შვილიან ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, მარტოხელა შშმ ბავშვების ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით, 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე ბავშვზე 60 ლარის ოდენობით .
- 6 .18 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარება 60 ლარის ოდენობით ყოველთვიურად

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა		260		104 000
15 თებერვალი - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები	რაოდენობა	4	400	1 600
9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები	რაოდენობა	36	400	14 400
27 სექტემბერი - საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინვალიდები	რაოდენობა	90	400	36 000
ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები; საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებული ვეტერანები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები.	რაოდენობა	130	400	52 000
შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა	რაოდენობა	111	800	88 800
ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა		80		40 000
გარდაცვლილი ვეტერანი (ომის მონაწილე)	რაოდენობა	30	500	15 000
გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი (0-70000 ჟულის მქონე) პირი	რაოდენობა	50	500	25 000
ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.	რაოდენობა	2	1 930	3 860
სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდემდამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა		1 046		1 173 800
0-70000-მდე სარეიტინგო ჟულის მქონე 3 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 80 ლარის ოდენობით	რაოდენობა	350	960	336 000

0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით	რაოდენობა	45	2 900	130 500
0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით	რაოდენობა	26	4 396	114 300
5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით	რაოდენობა	115	1 865	214 500
უდემამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით	რაოდენობა	35	1 800	63 000
მარტოხელა მშობლების ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით	რაოდენობა	300	642	192 500
სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	რაოდენობა	125	720	90 000
18 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარება	რაოდენობა	50	660	33 000
სულ ქვეპროგრამა	0	1 499	2 730	1 410 460

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x
შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x
ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x
ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.	x	x	x	x
სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდემამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

დამატებითი ინფორმაცია

1. შვილის შექმნასთან დაკავშირებით მატერიალურ დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით. 2019 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა აგრეთვე იმ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომლებსაც ახალშობილი შეეძინათ 2018 წლის დეკემბრის თვეში და არ უსარგებლიათ დახმარებით, დახმარება გაიცემა 2018 წლის ქვეპროგრამით განსაზღვრული თანხის შესაბამისად. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ერთ-ერთი მშობლის ანგარიშზე.
საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება; ორივე მშობლის პირადობის მოწმობა; ქორწინების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბავშვების დაბადების მოწმობები; საბანკო რეკვიზიტი; ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების მითითებით.
ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანის დროს საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება; მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები; ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები; ქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში); ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, რომელშიც მითითებულია ოჯახის წევრები (დედა-მამა ან ერთ-ერთი მშობელი, 3 (სამი), 4 (ოთხი), ხუთი და მეტი ბავშვი) დადგენილი. ცნობა საჯარო რეესტრიდან მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი. არსებული ბაზების ყოველთვიური გადამოწმების შემდეგ მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში მცხოვრებ იმ სამ და ოთხშვილიან 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი; ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ მრავალშვილიან (5 და 5-ზე მეტი შვილი) ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ორი ბავშვი; იმ მარტოხელა მშობლებზე (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი და არ ღებულობენ მატერიალურ დახმარებას ამ ქვეპროგრამის სხვა ღონისძიების ფარგლებში. აგრეთვე, 18 წლამდე დედა-მამით ობოლ ბავშვებზე, რომლებსაც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისთვის უკვე დანიშნული ჰყავთ მეურვე და/ან მზრუნველი.
2. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის და ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაწევად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, განცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ ან ვეტერანის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი. საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გარდაცვლილ ბენეფიციარზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინვოისი, ზედნაღები). 2019 წელს პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება აგრეთვე გაეწევა, 2018 წლის დეკემბერში გარდაცვლილი 0-დან - 70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახს, რომელთაც არ უსარგებლიათ აღნიშნული მატერიალური დახმარებით, ხოლო დახმარება გაიცემა 2018 წლის ქვეპროგრამული თანხის შესაბამისად.
3. სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფილნი იქნებიან ის ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს ან საშუალო-სპეციალურ განათლებას ღებულობენ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის მოწმობა ან აიდი ბარათი, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შშმ სტატუსის შესახებ, სასწავლებლიდან სტუდენტის დამადასტურებელი ცნობა, სტუდენტის საბანკო რეკვიზიტი.
4. ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანის დროს საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები, ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები, ქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში), ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, რომელშიც მითითებულია ოჯახის წევრები (დედა ან/და მამა, 3, 4, 5 ბავშვი), მოკვლევა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან საჭიროების შემთხვევაში, ცნობა საჯარო რეესტრიდან მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი. არსებული ბაზების ყოველთვიური გადამოწმების შემდეგ მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში მცხოვრებ იმ სამ და ოთხშვილიან 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი; ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ მრავალშვილიან (5 და 5-ზე მეტი შვილი) ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ორი ბავშვი; იმ მარტოხელა მშობლებზე (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი და არ ღებულობენ მატერიალურ დახმარებას ამ ქვეპროგრამის სხვა ღონისძიების ფარგლებში. აგრეთვე, 18 წლამდე დედა-მამით ობოლ ბავშვებზე, რომლებსაც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისთვის უკვე დანიშნული ჰყავთ მეურვე და/ან მზრუნველი.
5. დახმარებას ყოველ ახალშობილზე მიიღებენ მშობლები (ან ერთ-ერთი მშობელი), რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ბავშვის დაბადების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, საბანკო რეკვიზიტი.

6.18 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს; განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შშმ სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა 100-4ა, , საბანკო რეკვიზიტი. ბენეფიციარები საჭიროა დარეგისტრირებულნი იყვნენ ქ. ბათუმში 2019 წლის პირველ იანვრამდე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით	ვეტერანების რაოდენობა, რომელზეც სადღესასწაულო დღეებში გაიცემა მატერიალური დახმარება	125	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ახალშობილის შემენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	100	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველთა ოჯახის წევრის რაოდენობა, რომელზეც გაიცემა მატერიალური დახმარება	80	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.	2	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

	სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა	260	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ყოველთვიური მატერიალური დახმარების მიმდებ ბენეფიციართა რაოდენობა	1046	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	სოციალურად დაუცველ ოჯახთა რაოდენობა, რომელზეც ერთ წლამდე ასაკის ყოველ ახალშობილზე ყოველთვიურად გაიცემა დახმარება	111	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 03

ქვეპროგრამის დასახელება:

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 673 280
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 673 280

ქვეპროგრამის მიზანი:

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის მუნიციპალურ სატრანსპორტო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

სოციალურად დაუცველი 0-დან 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონერების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, პენსიონერების, ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება განხორციელება M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის საფასურის კომპენსაციის სახით, კერძოდ: 1) მასწავლებლებზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებზე (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში; სტუდენტებზე, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ასაკით პენსიონერებზე და საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლებზე, რომელთა შრომის ანაზღაურება არ აღემატება 625 ლარს (თვეში საშუალოდ 14 მგზავრობა (ერთი მგზავრობის 15 თეთრით დაფარვა) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება. 2) ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციართა, ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციართა, შშმ პირების, მოსწავლეების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება (თვეში საშუალოდ 18 მგზავრობა (ერთი მგზავრობის 30 თეთრით დაფარვა)).

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება	რაოდენობა	19600	65	1 270 080
განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში), სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბილიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 625 ლარს, მარტოხელა მშობლები თვეში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება	რაოდენობა	16000	25	403 200
სულ ქვეპროგრამა		35 600	90	1 673 280

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება	x	x	x	x
განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში), სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბილიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 625 ლარს, მარტოხელა მშობლები თვეში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება

დამატებითი ინფორმაცია

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება განხორციელდება "ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კერძოდ: ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები – უფასო;

ა1 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში - უფასო ;
ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში) – 0,15 ლარი;

ბ1- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში – 0,15 ლარი;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები – 0,15 ლარი;

დ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები – 0,15 ლარი;

ე) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები – 0,15 ლარი;

ვ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები – 0,15 ლარი;

ზ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – 0,15 ლარი;

ზ1 - საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – 0,15 ლარი;

თ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – უფასო;

ი) ქ. ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები – უფასო;

კ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები – უფასო;

ლ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები – უფასო.

საჭიროების შემთხვევაში, ღონისძიებებს შორის თანხა შეიძლება გადანაწილდეს ცალკეული მგზავრობის შეღავათზე მოთხოვნილების მიხედვით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 50 %-იანი შეღავათით	16000	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი. ინფორმაციის მოგროვება სხვადასხვა უწყებებიდან
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100 %-იანი შეღავათით (უფასო მგზავრობით)	19600	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი. ინფორმაციის მოგროვება სხვადასხვა უწყებებიდან

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	866 340
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	866 340

ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობა მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

